სპორტი

სპორტული გაზეთი | შაბათი 2 ივნისი 2001 №101 (1374) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მოდელი



ჯოვანი ტრაპატონი და მისი ლაშქარი

იტალიის ნაკრების წინააღმდეგ

საქართველოს ნაკრები ისე არასოდეს ჰგვანებია თავის ქვეყანას, როგორც ახლა: აშლილი, მთლიანობადაკარგული, კრიმინალით შეჭირვებული... იტალია კი, უკვე მერამდენე რესპუბლიკის მერამდენე ნაკრები, შუდამ იტალიაა.

იხილეთ მეოთხე გვერდი

გურამ დვალიშვილის ფოტო

გადრი კვითლაძის ფოტოები

თავს ზემოთ ძალა არ არის, თავს ზემოთ იტალიაა

0:2

აწმყო არა გვწყალობს და მომავალიც ძნელია

საქართველო — იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩის მიმოხილვა
იხილეთ მეორე გვერდზე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 1 ივნისი. ახალგაზრდულები

საქართველო 0:2 იტალია

თბილისი. „ეროვნული“. 20.15 8000 მაყურებელი

0:1 კორენტი (34) 0:2 მაკარონე (41)

საქართველო: ხმელიძე, საჯაია, ხიზანიშვილი, კაკაშვილი, ჯ. მუჯირი, ო. გველესიანი, გ. კვარაცხელია (ასათიანი 46), დიღმელაშვილი, კორლალიძე (ბურდული 73), ლ. გვაზავა (იმედაძე 29), ლ. მელქაძე

სათადარიგონი: ლომაია; ახალაია, დევიძე, ლ. ნოზაძე

იტალია: პელიცოლი, ბონერა, კასტელინი, ფერარი, გამბერინი (ლუკინი 66), კორენტი, მარკიონი (კამბედელი 77), კოლუჩი (ვიკარი 54), მაკარონე, ბრიგი, იაკინტა

სათადარიგონი: როსი; მორეტი, ოლივი, კალაიო

გაფრთხილება: დიღმელაშვილი (15), მარკიონი (18), კოლუჩი (44), საჯაია (53), კორენტი (58), იაკინტა (74)

მსაჯები: პაულო კოშტა; ბერტინო მირანდა, სერაფიმ ნოგეირა; მარიუ მორეირა (ყველა პორტუგალია)

უფასს დელეგატი: საბრი ჯელიკი (თურქეთი)

24	ჯარმა	17
6	კუთხური	4
3	კარისკენ დარტყმა	2
1	კარში დარტყმა	6
2	თამაშგარე	1

აწმყო არა გვწყალობს და მომავალიც ძნელია

დავით ხმელიძე მასიმო მაკარონეს ამ დარტყმას კი გაუმკლავდა, მაგრამ მოგვიანებით იტალიელს მაინც დაეჩაგვრინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურაგ დელეგანაშვილის ფოტო

კლაუდიო ჯენტილე

_თამაშამდე მათ ჰქონდათ ხალისი და მონდომება; ჯერ ახალგაზრდები არიან და მათ შორის კონფლიქტი და უთანხმოება არ არის, პატივს სცემენ ერთმანეთს. მეტოქე იტალია იყო და ისიც კარგად უწყოდნენ, რომ გუშინ ერთი დიდი შანსი ჰქონდათ, მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებზე ვერ ამაღლდნენ.

თანამედროვე ფეხბურთს მხოლოდ სურვილით და ჟინით ვერ მოიგებ. მონდომება არ კმარა და როცა ოსტატობა დაგაღალატებს, განწირული ხარ.

ჩვენ ვიცოდით, უფრო სწორად, ვხვდებოდით, იტალია რომ მოიგებდა. გუნდი, რომლის ტაქტიკურ-ტექნიკური, ასევე ფიზიკური მომზადების დონე დაბალია, ასეთ მეტოქესთან წარმატებას ვერ მიაღწევს. მაგრამ თამაშმა დაგვარწმუნა, რომ გუშინ იტალიასთან არწაგება შეიძლებოდა. უბრალოდ, შეცდომები იყო მინიმუმამდე დასაყვანი. შეცდომები თამაშის ორგანიზაციისა და შემადგენლობის შერჩევისას. აი, მარცხის ობიექტური მიზეზი, სხვა, სუბიექტურ მიზეზებთან ერთად.

ახალგაზრდულის თავკაცებს პრობლემები თავსაყრელად ჰქონდათ. მარტო ის რად ღირს, რომ კოპალეიშვილმა ერთი ხეირიანი ვარჯიში ვერ ჩაატარა ხეირიან მინდორზე. სტადიონი ვერ გამოინახა ნაკრებისთვის.

ეროვნულში გაწვეული, მერე უკან მობრუნებული ფეხბურთელები... ჯერ შემუშავებული და მერე დანგრეული გეგმები, რომელიც თავიდან უშუალოდ თამაშის დღეს შეიქნა ასაწყობი.

ყველაფერმა ამან, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა კოპალეიშვილის გუნდზე და მწვრთნელებსაც თითქმის არაფერში ვადანაშაულებთ, მაგრამ იმ შეცდომებზე მაინც ვიტყვით, რაც ჩვენი აზრით, მათ დაუშვეს.

პირველად ეს მეკარის შერჩევისას მოხდა. ჩემი აზრით, ლომაიას უნდა ეთამაშა. ვის მოუბრუნდება ენა და ვინ იტყვის, ხმელიძეს პირველი ბურთი უნდა მოეგერიებინაო. კორენტის დარტყმულს კოპალეიშვილის განკარგულებაში მყოფი სამივე მეკარე ერთად კარში მდგარი ვერ მოიგერიებდა. აი, ჩვენებურთა კარში გატანილი მეორე ბურთის მოგერიება კი შეეძლო ხმელიძეს. მეკარემ ახლო კუთხეში დარტყმული უნდა უკუაგდოს.

დათო ნიჭიერი, პერსპექტიული და ნაღდი ქართველი ბიჭია. თამაშის წაგებაც არ არის მის სინდისზე, რადგანაც სულ სხვა მატჩისთვის ნამზადებმა გუშინდელი ორთაბრძოლისთვის ფსიქოლოგიურად გადმორთვა ვერ მოახერხა.

დაცვაში ვერაფერს ვუსაყვედურებთ კოპალეიშვილს. მის ხელთ არსებული კონტიგენტიდან საუკეთესოები შეარჩია. არც დაცვის ბრალია გუშინდელი მარცხი.

წაგების მთავარ მიზეზსაც მივადექით. ნახევარდაცვა უილაჯოდ თამაშობდა და უსიტყვოდ დანებდა მეტოქეს.

ხუთი შუახაზელიდან ძირითადში ადგილს მხოლოდ ერთი, ოლეგ გველესიანი იმსახურებდა. გვაზავა, კვარაცხელია და დიღმელაშვილი, საწყისი 20 წუთის შემდეგ კორღალიძეც, უმოქმედონი იყვნენ.

შეცდომა იყო კვარაცხელიასა და დიღმელაშვილის საყრდენებად გამწესება. ორი არცთუ სწრაფი ნახევარმცველი მეტოქეებს ყველაფერში ჩამორჩებოდა. გვაზავამაც ვერ გაართვა თავი დავალებას, ვერც ეულ ფორვარდ მელქაძეს დაეხმარა და უკანაც დიდად ვერ შეეწია დაცვას. თუმც მისი გამოცვლის შემდეგ შუა ხაზს უფრო გაუჭირდა.

იტალიელებს ათლეტურად და ფიზიკურად რომ ვერ აჯობებდნენ კი უნდა სცოდნოდათ ჩვენს მწვრთნელებს. ამიტომ უნდა ეცადათ, სისწრაფისა და ბრძოლის ხარჯზე გაებათილებინათ სტუმართა უპირატესობა.

კოპალეიშვილს ჰყავდა დევიძე, ნოზაძე, ასათიანი და ბურდული. სოსოს და ლაშას საერთოდ არ უთამაშიათ, ხოლო მალხაზი და ლადო მაშინ გამოიყვანეს, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო.

ვიცოდით, ასათიანი ორ ტაიმს რომ ვერ გაუძლებდა, მაგრამ თავიდანვე მისი დაყენებით იტალია უფრო მეტად შეწუხდებოდა და ასე თამამად ვერ შემოგვიტევდა.

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ რომელიმე რგოლში ფეხბურთელთა სიმრავლით შედეგი არ მიიღწევა, მით უფრო თუ უპირატესობის მიღწევას ჩამშლელი მოთამაშეებითღა ცდილობთ.

გავიხსენოთ, როგორ გაიტანა იტალიამ გოლი. მარჯვენა ფლანგიდან დაწყებული შეტევა ჩვენმა დაცვამ მოიგერია. კორენტი საჯარიმოს მისადგომებთან დახვდა მოგერიებულ ბურთს, გაისწორა და ხმელიძეს აუღებელი დაურტყა. მისთვის ხელის შემშლელი არც ერთი ნახევარმცველი არ აღმოჩნდა. არადა, ან კვარაცხელიას, ანაც დიღმელაშვილს სწორედ იქ ყოფნა მართებდათ.

მეორე გოლისას ნახევარდაცვამ ის ბურთი დაკარგა, რომელიც უნდა შეენარჩუნებინა. მეტოქემ კი ერთი ფეხის გაქნევით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა მაკარონე. იტალიელმა უზადოდ მოიქნია, თუმც ჩვენი დაცვისა და მეკარის პოზიციური შეცდომაც აშკარა იყო.

სტუმრებმაც ერთი თავდამსხმელით დაიწყეს თამაში, ფრთხილობდნენ, მაგრამ ჯენტილემ როგორც კი ნახა ქართველთა პირველი ცვლილება, მანამდე შუა ხაზში გამწესებული იაკინტა მაშინვე მაკარონეს შეუწყვილა თავდასხმაში. ჯენტილეს აზრადაც არ მოსვლია დაცვის გაძლიერება, შეტევას შეტევითვე უპასუხა.

42-ე წუთზე უკვე ნათელი იყო, რომ იტალიამ თამაში მოიგო, მაგრამ ქართველთა ერთი გოლი მაინც გვწყურდა. ვერ ვეღირსეთ... ანაც როგორ უნდა გაეტანა იმ გუნდს იტალიისთვის, რომლის მოთამაშეებიც ვარჯიშზე მწვრთნელის მიერ მიცემულ უმარტივეს დავალებას ერთხელ ხეირიანად ვერ შეასულებენ.

და მაინც, მერე ნახევარში ჩვენებურთა გარჯა ფეხბურთს მაინც ჰგავდა. იყო გამოუყენებელი მომენტებიც, თუმცა პირობები არა, ტექნიკურ-ტაქტიკურ-ფიზიკური მზადყოფნა საგანგაშო. სხვა კიდევ არაერთი პრობლემა და ამის შემდეგ გეკითხებით, აქვს თუ არა ქართულ ფეხბურთს მომავალი?

მწვრთნელები იუინებენ, კიო...

გამუჯა კვანტალიანი

ბურაგ დელეგანაშვილის ფოტო

ხარობს ახალგაზრდა იტალია

პრესკონფერენცია

გამარჯვებულისთვის ყველაფერი იოლია, კარგ ხასიათზე მყოფი კლაუდიო ჯენტილეც თავაზიანად პასუხობდა კითხვებს. სტუმარი გითანაგრძნობს სიტყვებით, მაგრამ მისთვის უცხოა შენი პრობლემები. არც აინტერესებს, თავისი საფიქრალი და გეგმები აქვს.

ჯენტილეს უკვირს, შუქი რომ გვაქვს, წუხს იტალიაში დარჩენილ, ტრავმირებულ ნაკრების წევრებზე. ფიქრობს, რომ რამდენიმე მოთამაშე გუშინდელი მატჩიდან მალე იტალიის ეროვნული გუნდის მაისურას მოირგებს.

მერე წასასვლელად გამზადებული თავს დაგიკრავს და ტაშის თანხლებით ტოვებს დარბაზს. დაუსრულებელი სერიალია, რომლის ცქერასაც გაძალებენ. ჯენტილე არ ყოფილა პირველი, საქართველოდან გამარჯვებული რომ მიდის და უბედურებაც იმაშია, რომ არც უკანასკნელია.

ჩვენთან ერთად რჩება კოპალეიშვილი. მოწყენილი და იმის მომლოდინე, რომ ჟურნალისტები გაწურავენ. ამბობს, რა და რატომ გადაწყვიტა, წავაგეთ შუა ხაზი და თამაშიცო. ფიზიკური სისუსტის აღნიშვნა არ ავიწყდება, არც საკუთარი შეცდომები. წაგებას კონკრეტულ მოთამაშეებს არ აბრალებს და ჯენტილესავით, ამბობს, რამდენიმე ფეხბურთელი საქართველოს ნაკრებში ითამაშებსო.

ჟურნალისტებიც ვინდობთ მწვრთნელს, ზედმეტი კრიტიკისგან თავს ვიკავებთ, რადგან ბევრმა იცის, რომ ქართული ფეხბურთის დღევანდელი მძიმე ვითარება კოპალეიშვილის ბრალი არ არის. ჯერჯერობით მას ისიც ეყოფა დებიუტი რომ ჩაუმწარდა.

უსახურობის მიზეზი უფრო სხვაა და გაცილებით ღრმად საძიებელი.

VIII ჯგუფი

რუმინეთი 1:0 უნგრეთი

1:0 სიმარტიანი (85)

იტალია	6	5	1	0	11:3	16
რუმინეთი	5	3	1	1	8:2	10
უნგრეთი	4	2	0	2	5:5	6
ლიტვა	5	1	0	4	3:10	3
საქართველო	4	0	0	4	3:10	0

მეროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

ესლოვენია 1:0 ლუქსემბურგი

II ჯგუფი

ირლანდია 0:1 პორტუგალია

ესტონეთი 0:5 პოლანდია

III ჯგუფი

ჩრდ. ირლანდია 1:1 ბულგარეთი

დანია 3:4 ჩეხეთი

ისლანდია 3:0 მალტა

IV ჯგუფი

თურქეთი 3:0 აზერბაიჯანი

შვედეთი 4:0 სლოვაკეთი

V ჯგუფი

უკრაინა 1:3 ნორვეგია

სლოვენეთი 1:0 ბელარუსი

უელსი 0:4 პოლონეთი

VI ჯგუფი

ბელგია 3:0 ლატვია

VII ჯგუფი

ესპანეთი 5:1 ბოსნია

IX ჯგუფი

საბერძნეთი 0:0 ალბანეთი

ფინეთი 1:3 გერმანია

საქართველო

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1990 წლის 15 თებერვალს
ფიფას და უეფას წევრია — 1992 წლიდან
ფედერაციის პრეზიდენტი: მერაბ ჟორდანია
გენერალური მდივანი: ვალერი ჩოლარია
საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მეორედ მონაწილეობს

მწვრთნელები

რევაზ ძოძუაშვილი
მთავარი მწვრთნელი. დაიბადა 1945 წლის 10 აპრილს. 1990 წლის შემდეგ წვრთნიდა: თბილისის „დინამოს“, რუსთავის „მეტალურგს“, შეპეტოვკის „ტემპს“, საქართველოს ნაკრებს (თანაშემნე), ლატვიის ნაკრებს, საუდეთის „ალ იტიჰადს“, თბილისის „ლოკომოტივს“ და ქუთაისის „ტორპედოს“.
1999 წლის დეკემბრიდან საქართველოს ეროვნული გუნდის ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელია

დავით ყიფიანი
მთავარი მწვრთნელი. დაიბადა 1951 წლის 18 ნოემბერს. 1990 წლის შემდეგ წვრთნიდა: თბილისის „დინამოს“, ნიქოზიის „ოლიმპიაკოსს“, საქართველოს ნაკრებს, იაროსლავის „შინიკს“ და ქუთაისის „ტორპედოს“.
1999 წლის დეკემბრიდან საქართველოს ეროვნული გუნდის ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელია

ირკალი ზოიძე
მეკარე. „ტორპედო“. 21.03.69

ეროვნული ბიბლიოთეკა
დავით გვარამაძე
მეკარე. უგუნდო. 08.11.75

ლევან სილაგაძე
მცველი. „ტორპედო“. 04.08.76


რევაზ ქემოკლიძე
მცველი. „ტორპედო“. 18.03.79


ზურაბ ხიზანიშვილი
მცველი. „დანდი“. 06.10.81

კახა კალაძე
მცველი. „მილანი“. 22.02.78

ლევან კობიაშვილი
მცველი. „ფრაიბურგი“. 10.07.77



სევასტი თოდუა
მცველი. „ტორპედო“. 23.07.75



ვალერი აბრამიძე
მცველი. „ტორპედო“. 17.01.80

გიორგი შაშიაშვილი
მცველი. „დინამო“. 01.09.79

გივი დიდავა
ნახევარმცველი. „ტორპედო“. 21.03.76

ალექსანდრე რეხვიაშვილი
ნახევარმცველი. „სკონტო“. 06.08.76

საქართველოს ნაკრები 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე

7 ოქტომბერი
ლიტვა 0:4 საქართველო
0:1, 0:2 ქეცბაია (19, 35), 0:3 ჭინქლაძე (46), 0:4 ა. არველაძე (84)

11 ოქტომბერი
იტალია 2:0 საქართველო
1:0, 2:0 დელ პიერო (47პ, 88პ)

28 მარტი
საქართველო 0:2 რუმინეთი
0:1 დ. მუნტიანუ (69), 0:2 კონტრა (81)

2 ივნისი
საქართველო — იტალია

6 ივნისი
უნგრეთი — საქართველო

1 სექტემბერი
საქართველო — უნგრეთი

5 სექტემბერი
საქართველო — ლიტვა

6 ოქტომბერი
რუმინეთი — საქართველო


ზურაბ მენთეშაშვილი
ნახევარმცველი. „სკონტო“. 30.01.80

გიორგი ნემსაძე
ნახევარმცველი. „დანდი“. 10.05.72

გიორგი გახოკიძე
ნახევარმცველი. პსვ. 09.11.77


თემურ ქეცბაია
ნახევარმცველი. „ვულვზი“. 18.03.68

მიხეილ ყაველაშვილი
თავდამსხმელი. „ციურიხი“. 22.07.71

შოთა არველაძე
თავდამსხმელი. „აიაქსი“. 22.02.73

მიხეილ აშვეთია
თავდამსხმელი. „ტორპედო“. 10.11.77

არჩილ არველაძე
თავდამსხმელი. „კიოლნი“. 22.02.73

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 2 ივნისი

საქართველო — იტალია

თბილისი. „ეროვნული“. 21.00

ხუთი ათასამდე კაცი მოაწყდა „შევარდენის“ სტადიონს — გუშინ იქ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებმა ივარჯიშეს. ლარიანი ბილეთებიც გაიყიდა, მუშტარი ხომ მართლაც ბევრი იყო. მინდვრის გარშემო, მავთულლობეს შემოევლო ჯეელობა, ზოგიც ტრიბუნის თუ პრესლოჟის მაგვარზე მოკალათდა და თავისებური შოუც დაიწყო.

„გაზეტა დელო სპორტისა“ და „კორიერე დელა სერას“ ვარაუდით, დღეს ჯოვანი ტრაპატონი იტალიის ნაკრებს 3-4-1-2 ტაქტიკური სქემით ათამაშებს:

ბუფონი; პანავარო, ნესტა, მალდინი; ძამბროტა, ტომაზი, ტაკინარდი, პანკარო; ტოტი; დელვეკიო, დელ პიერო.

ტრაპატონის ნაღდი შნდა ლარიანი შოუ შევარდენზე

„შევარდენზე“ ფეხი ჯოვანი ტრაპატონიმაც გაშალა

„სპუიდრა“ ჯერ ფლანგზე შექუჩდა, კვადრატი გააჩაღა, მერე ჯოვანი ტრაპატონიმ მოედნის ცენტრში უხმო ფეხბურთელებს და მოედანზე სამი წრის ძუნძულით შემოვლა დაავალა. მაესტრო „ტრაპი“ შეგირდებთან ერთად დაძუნძულებდა და ამ დროს იყო, ერთი მოზარდი გარღვეულ ღობეში რომ გაძვრა და ავტოგრაფებისთვის ფეხბურთელებს მიეჭრა. ონავარს პოლიციელი გამოუდგა, ერთი-ორი წაუთაქა და საიდანაც გამოძვრა იქით მიაბრძანა. მერე სამფეროვნებმა დარტყმებში წაივარჯიშეს, კვლავ მოედნის ცენტრში შეგროვდნენ და გაჭიმვებზე ვარჯიშს შეუდგნენ, ხოლო მეკარეები, ფრანჩესკო ტოლდო და ჯანლუიჯი ბუფონი ცალკე იდენდნენ ოფლს.

ჩვენებური ფანობა კი არ ისვენებდა, ცელქობდა და პოლიციას ნერვებს უშლიდა. თუმც ზავი მათ შორის მალე ჩამოვარდა, ერთ-ერთმა პოლიციელმა ღობის იქიდან გადმოწოდებული ფოტოკამერაც კი ააჩხაკუნა და მადლიც მოისხა.

შემდეგ იტალიელები 15 და 30 მეტრიან სწრაფ გარბენებზე გადავიდნენ. ეს არც 62 წლის ტრაპატონის უთაკილია, რასაც გრძელი პასებით ვარჯიშიც მოაყოლეს. ბოლოს კი მოედნის ერთ ნახევარზე ორკარა გააჩაღეს.

ვარჯიშის დამთავრების შემდეგ მინდორს ორმოცდაათამდე იტალიელი ჟურნალისტი შეერია. მწვრთნელი ალყაში მოიქციეს, საკმაოდ ხანგრძლივი და უწვეულო პრესკონფერენცია მოუწყვეს ტრაპატონის. სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ იტალიელებს უფრო კომფორტულ პირობებში ერჩივნათ ამ საქმის კეთება. მსგავსი რამ არ მომხდარა თბილისში გერმანიისა და ინგლისის ნაკრებების სტუმრობისას. მათ პრესისა და ნაკრების მწვრთნელის ურთიერთობის სულ სხვა კულტურა წარმოაჩინეს.

ჩვენი პოლიცია ალესანდრო დელ პიეროსაც იცავდა

კეთილ ძიას ფრანჩესკო ტოლდოს თბილისელი ბიჭებისთვის ავტოგრაფები არ დაუშურებია

მოედნიდან გასახდელში გაბრუნებულ ტრაპატონისთან ქართველ ჟურნალისტებსაც დასცალდათ ერთი-ორი შეკითხვის მიცემა. თუმცა მას, რათ თქმა უნდა, ნორმალური პრესკონფერენცია არ ეთქმოდა.

საქართველოში ასეთ ატმოტაუსა და დიდ ინტერესს თქვენი გუნდის მიმართ თუ ელოდით?

— იტალიის ნაკრები ყველა ქვეყანაში პოპულარულია. ვიცოდი, საქართველოშიც გვყავს გულშემატკივრები, მაგრამ რაც ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თქვენ ქვეყანაშიც ფეხბურთით ცხოვრობენ.

კახა კალაძის ძმის გატაცების შესახებ იტალიაშიც ბევრი ითქვა...

— სამწუხაროა, რომ ასეთ რამ ისეთ ცნობილ ფეხბურთელს შეემთხვა, როგორიც კალაძეა. იმედია, ყველაფერი კარგად დამთავრდება.

უშუალოდ საქართველო — იტალიის მატჩის შესახებ რას გვეტყვით?

— ძალიან მძიმე თამაში იქნება, მაგრამ ჩვენ კარგად ვართ მომზადებულნი და თქვენი გუნდიც სათანადოდ შევისწავლეთ. შევეცდებით, მოვიგოთ და ჯგუფიდან გასვლა ახლავე გავინაღდოთ.

სულ ეს იყო. დანარჩენს ჯოვანი ტრაპატონი და მისი ფეხბურთელები დღეს გვეტყვიან. ისე კი, იტალიელთა ვარჯიშს ჩვენი ნაკრების ორივე მწვრთნელი დაესწრო.

დავით თავართქილაძე
ბადრი კეთილაძის ფოტოები

ჩვენი ჯგუფი

დღეს

რუმინეთი — უნგრეთი

იტალია	5	4	1	0	13:2	13
რუმინეთი	4	2	0	2	3:5	6
უნგრეთი	3	1	2	0	9:4	5
საქართველო	3	1	0	2	4:4	3
ლიტვა	5	0	1	4	2:16	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო აბზალაძისგან

სვეტი

შანსი იტალიასთან

იტალიის ნაკრები მეორედ ჩამოდის ჩვენთან. დღევანდლამდე ამ გუნდთან წაგვიგია ორი და ფრედ დაგვიმთავრებია ერთი შეხვედრა. გოლი არ გაგვიტანია, თუმცა, ის ფრედ დასრულებული შეხვედრა იტალიელთათვის წაგებული გამოდგა, რადგან თბილისში ვერმოგებით და შემდეგ ინგლისის ასევე ვერდამარცხებით, იტალიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსასვედრად რუსებთან პლეი ოფი მოუხდათ.

ის ნულოვანი ფრე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლა იყო, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ იტალიელთათვის გოლი ჯერ კიდევ გასატანი გვაქვს.

იტალია შეგვხვედრია კრიზისული, ანუ მაშინდელი, როცა არიგო საკის სტვენა სდევდა თან და მაინც მოუხერხებია ჩვენი დამარცხება. სხვა მხრივ კი, ისე გამოდის, რომ იტალიასთან თამაშით, ჩვენში ყოველთვის კმაყოფილნი რჩებიან, რა არის რომ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მაინც წავაგეთო. ასე იყო იმ საკის დროს და ასე იყო გასულ შემოდგომაზეც, როცა იტალიამ დელ პიეროს ორი პენალტით დაგვამარცხა.

ზოგადად, იტალიისთვის გოლის გატანა ძნელია. ევროპის დიდი გუნდებიც ბევრს წვალობენ, რომ როგორმე გოლი გაუტანონ იტალიელებს. თუმცა, ერთია დიდი შეჯიბრებები, სადაც გუნდები სრული მზადყოფნით გადიან მინდორზე და მეორეც შესარჩევი, ან ამხანაგური თამაშები. ამ სათამაშო სეზონში იტალიელებს უნგრელებმაც გვარიანად გაუტანეს და არგენტინელებმაც.

თუმცა, ამგვარი განწყობა რამდენად წაადგება უთვალავი საფეხბურთო თუ ფეხბურთსგარეთა პრობლემით დამძიმებულ საქართველოს ნაკრებს, არ ვიცი.

საქართველოს ნაკრებს ყველაფერი ერთად მოაწვა: კახა კალაძის დრამა, შოთას და „აიაქსის“ საქმე, ზაზა ჯანაშიას მარადიული გაუგებრობა, ჯამარაულის და იაშვილის უარი, ქინქლაძის ტრავმა და რა თქმა უნდა, ის, რომ ამ დიდ პრობლემათა გარეშეც, საქართველოს ნაკრები ბევრს ვერაფერს ახერხებდა გადამწყვეტ თამაშებში.

ამის მიუხედავად, დღეს მატჩია და ყოველი ახალი მატჩი ახალი იმედია. ექსტრემალურ პირობებში ჩაყენებული გუნდი ხშირად თავზე ხელს აიღებს ხოლმე. ყოველი ახალი თამაში ახალი იმედია. ხშირად, ვითარება იმგვარია, რომ ფეხბურთზე ფიქრი ძნელიც კია, მაგრამ როცა ფეხბურთს თამაშობ, მაინც უნდა მოახერხო და იფიქრო ფეხბურთზე. სხვა მხრივ, რა თქმა უნდა, ძნელია ერთმანეთის გვერდით დააყენო იტალიისა და საქართველოს ნაკრებები. მაგრამ ფეხბურთი იმგვარი თამაშია, რომ იქ ყოველთვის ტრიალებს რაღაც შანსი. ეს უხილავი შანსია და მხოლოდ მოედანზე გამოჩნდება ხოლმე. იშვიათად, მაგრამ მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანჩესკო კოკომ (პირველი ფოტო, შუაში) ჩემპიონთა ლიგაშიც დაიგდო სახელი: „ბარსელონას“ „კამპ ნოუზე“ გაუტანა და ძალიანაც გაიხარა

კოკო, რომელსაც ლიტერატურა ძალიან შეეპარა

ფრანჩესკო კოკო თბილისს მეორედ ესტუმრა

1997 წლის 10 სექტემბერი. რუსთავი. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იტალიას ამარცხებს. მატჩის დასრულებამდე ოცდახუთიოდე წუთია დარჩენილი და, ფაქტობრივად, ყველაფერი გარკვეულია, ჩვენები 2:0-ს იგებენ, ისტორიულ გამარჯვებას უახლოვდებიან. აქ ხდება მოულოდნელი რამ, სტუმართა მარცხენა მცველ ფრანჩესკო კოკოს მიხეილ ფოცხვერიამ გაჭიანურებულ ბრძოლაში მოუგო ბურთი და გაშმაგებული იტალიელისგან სილა იწვნია. ფოცხვერიამ უკან არ დაიხია და ატყდა მუშტი-კრივი. კოკო და ფოცხვერია მოედნიდან გააძევეს...

2001 წლის 31 მაისი. ფრანჩესკო კოკო გაცილებით უკეთეს ატმოსფეროშია. „შერატონ მეტეხი პალასის“ გემოვნებით მოწყობილ ბარში ნებივრად ზის და ყავას მირთმევს. ზუსტად ისეთია, როგორიც ოთხი წლის წინ, იგივე ვარცხნილობა და მაშინდელივით უდარდელი იერი. არადა, ამ ოთხმა წელმა ბევრი რამ შეცვალა მის ცხოვრებაში, მაშინდელივით დღესაც მილანელი კოკო ვარსკვლავია, უბრალოდ, ვარსკვლავი...

— გატყობთ, ჩინებულ ხასიათზე ხართ. იქნებ საქართველოში, ამ სასტუმროში ყოფნამაც შეგიწყოთ ხელი?

— სასტუმრო მართლაც ჩინებულია, მაგრამ ტრადიციულად უგუნობობას არასდროს ვუჩივი.

— მოჩხუბარ ბიჭს არაფრით გავხართ?

— რას გულისხმობთ?

— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩში ოთხი წლის წინ მომხდარ ინციდენტს, მიხეილ ფოცხვერიასთან ჩხუბისთვის გაგაძევეს მოედნიდან. მაშინ ქართველმა უფრო მეტი მოგარტყათ...

— მახსოვს, როგორ არა, თამაშისას მოედანზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მაშინ სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ იმ ინციდენტის გადამკიდე ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მომცეს. მსგავს კონფლიქტურ სიტუაციაში ბევრჯერ მოვხვედრივარ მას შემდეგ, თუმცა ვცდილობ, ემოციებს არ ავყვე და პროვოკაციაზე არ წამოვეგო.

კოკო ყავის ჭიქას დასწვდა და იქვე მსხდომ თანაგუნდელებს გადახედა. ჩვენგან ყველაზე შორს ალესანდრო დელ პიერო იჯდა, მანძილს მისთვის ხელი არ შეუშლია, უკმაყოფილო მზერა ესროლა კოკოსთვის — „გეყოფა, ბევრს ლაპარაკობ, ფრანჩესკო“. ასეთი გაფრთხილება ერთხელაც მისცა დელ პიერომ ახალგაზრდა მილანელს. მოგვიანებით ტურინელ ვარსკვლავს დი ლივიომაც აუბა მხარი, იქვე ნება-ნება რომ აბოლებდა სიგარეტს, მაგრამ კოკო ალალი, კარგი ბიჭია. წამითაც არ უფიქრია ჩვენი თავიდან მოშორება...

— გაინტერესებთ კიდევ რამე? მკითხეთ...

— „მილანში“ როგორ მოხვდით?

— ამ კლუბის საფეხბურთო სკოლიდან. ძალიან მსურდა, დიდი ფეხბურთი მეთამაშა და ოცნება ავიხდინე. იოლი გზა კი ნამდვილად არ მქონია. თვითდამკვიდრებისთვის ყოველთვის დიდი ბრძოლა მიწევდა და მიზნის მისაღწევად ძალ-ღონეს არ ვიშურებდი.

— მხოლოდ ეს ფაქტორი აღმოჩნდა საკმარისი ასეთი თავბრუდამხვევი წარმატების მისაღწევად. ბოლოს და ბოლოს, ცოტას არ ნიშნავს — დღეს „მილანის“ კაპიტანი ხართ...

— ასეა, შრომა დამიფასდა. ჩემი მდგომარეობით მართლაც გახარებული და ბედნიერი ვარ. ასე უნდა გავაგრძელო. მთავარია, მონდომება, თორემ მიუღწეველი არაფერია.

— სერია A-ს წლევანდელი ჩემპიონატი ფაქტობრივად ჩააგდეთ. „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის მიმდა დარჩა.

— გეთანხმებით, რომ ჩემპიონატის უდიდესი ნაწილი საშინლად ვითამაშეთ, მაგრამ მოტივაცია მაინც დაგვრჩა — უეფას თასი გვაქვს მოსაპოვებელი. ბრძოლად ნაღდად ღირს. მომავალი სეზონიდან კი ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნებაზე ვიზრუნებთ.

— ახალი სეზონიდან „მილანს“ თურქი ფათიჰ თურიმი გაწვრთნის, რა შეფასებას მისცემთ ამ ფაქტს?

— თურიმს არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ კარგად ათამაშებდა „ფიორენტინას“ და იმედა, „მილანშიც“ წარმატებულ კარიერას მოიწყობს.

— ჩეზარე მალდინიზე გული გწყდებათ?

— სამწუხაროა, რომ დრო არ დარჩა მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა გუნდის თამაში. მალდინი ბრწყინვალე მწვრთნელია. ეს იმითაც დამტკიცდა, რომ მისი „მილანში“ მოსვლის შემდეგ გუნდი გარდაიქმნა და რამდენიმე მატჩი ზედიზედ მოვიგეთ.

— თქვენს ახალ ქართველ თანაგუნდელ კახა კალაძეზე რას იტყვით?

— კარგი პიროვნებაა, ნაღდი პროფესიონალი, ბევრს შრომობს, უდავოდ ნიჭიერი ჭეხბურთელია. რაც იტალიური ენის სწავლა დაიწყო, ორმაგად ვაფასებ.

— მეგობრობთ მასთან?

— რა თქმა უნდა, საერთოდ ჩვენი გუნდი მეგობრულია, ერთი ოჯახივით ვართ.

— ალბათ, იცით, კალაძეს დღესდღეობით დიდი პრობლემა აქვს...

— ვიცი, მისი ძმა გაიტაცეს. ეს ამბავი რომ მოხდა, მაშინვე გავიგეთ. მთელმა გუნდმა კახასთან ერთად განვიცადეთ მომხდარი, ფეხბურთელებს როგორც შეგვეძლო, ვანუგეშეთ. უცნაურია, ასეთი კაცი ჰყავთ ქართველებს და ასე ეპყრობიან. კალაძე ამას არ იმსახურებს. იმედი მაქვს, ეს პრობლემა მშვიდობიანად მოგვარდება და კახას ძმა შინ უვნებელი დაბრუნდება.

— „მილანში“ დიდხანს აპირებთ დარჩენას?

— წინასწარ რა გითხრათ, ფეხბურთელს ბარგი ყოველთვის ჩალაგებული უნდა ჰქონდეს. ისე, ჯერჯერობით წასვლას არსად ვაპირებ. „მილანი“ ჩემი ოცნების გუნდია და ბედნიერი ვარ, ფეხბურთს ამ გუნდში რომ ვთამაშობ.

— მოედნის გარეთ როგორი ხართ?

— ძალიან დამოუკიდებელი პიროვნება ვარ, ადამიანი, რომელსაც მოსწონს სხვებთან ურთიერთობა. მყავს ბევრი მეგობარი და ბედნიერი ვარ, რომ ისინი ჩემს გვერდით არიან.

— ოჯახის შექმნაზე არ ფიქრობთ? მეგობარი გოგონა გეყოლებათ...

— დოჯახებაზე ახლა ნამდვილად არ ვფიქრობ და არც მეგობარი გოგონა მყავს.

— თქვენი ჰობი რა არის?

— კითხვა. ძალიან ბევრს ვკითხულობ, შესაბამისად, მთელ თავისუფალ დროს წიგნთან ვატარებ.

— ვინ იქნებოდით, ფეხბურთელი რომ არ ყოფილიყავით?

— გამიჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. პრინციპში არც მიფიქრია ამაზე, რადგან მთელი ცხოვრება ფეხბურთით ვარ დაკავებული. ბოლოს და ბოლოს იყოს ფეხბურთი, რა, ურიგოა?

ბაბა ჯეფერაძის ფოტო

ბაბატა ძვანტალიანი

ᲕᲐᲛᲝᲚᲘᲑᲔᲠᲔᲚᲘ
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲨᲘ
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ!

ᲞᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲗ 1 ᲗᲕᲘᲗ, 2 ᲗᲕᲘᲗ,
3 ᲗᲕᲘᲗ, 6 ᲗᲕᲘᲗ, 12 ᲗᲕᲘᲗ.

98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲧᲣᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ
ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔᲑᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ!
..ᲞᲠᲔᲡ-ᲛᲝᲑᲘᲚᲘ..

1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო
1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო ალექსანოვზე
1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური
ალინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე
2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ.ყიფშიძის სახელობის
ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ



ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ
380109. ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ 29
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ
კანცელარია: 39 23 89
ცნობათა ბიურო: 39 22 89
მიმღები განყოფილება: 39 26 32

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ
ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფედერაციათა თასი

B ჯგუფი. II ტური

საფრანგეთი — აფსტრალია. არის თუ არა ეს გოლი? ფრანგები ფრედერიკ ნე (№14) და სილვენ ვილტორდი ნაადრევად ზეიმობენ — თამაშგარეა

სამხრეთ კორეა 2:1 მექსიკა

1:0 ჰონგ ჰვანგი (57), 1:1 რუისი (80), 2:1 ჩულ იოო (90)

სამხრეთ კორეა: ვოონ ლი, ჩულ კანგი, იონგ ჩოი, გუგ სონგი, იუნგ კიმი, ბო ჰონგი, ჩულ იოო, სუნგ პარკი, სუ კო (პიოლი 68), ჰუუნ კიმი, ჰონგ ჰვანგი (იეონ სეოდი 77)

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

მექსიკა: ო. სანჩესი, სუარესი, დავინო, პარდო, ო. ვალდესი, რანხელი, ვიქტორინო, როდრიგესი (ვ. რუისი 61), ბორგეტი (მ. რუისი 52), ოსორნო (აბუნდისი 70), დე ნიგრისი

მწვრთნელი: მანუელ ლაბუენტე

მაყურებელი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

43 ათასი მაყურებელი

საფრანგეთი 0:1 ავსტრალია

0:1 ზანე (59)

საფრანგეთი: კუპე, კამარა, ლებეფი, კარემუ, ფილე ჯორკაეფი (ვიეირა 86), ბრეშე, დაკური (პირესი 73), ვილტორდი, ნე (ანელკა 70), რობერი

მწვრთნელი: როგერ ლემერი

აფსტრალია: შვარცერი, მუსკატი, მური, ვიდმარი, ბობოვიჩი, ოკონი, სკოკო (ბრესკანო 78), ლაზარიდისი, ემერტონი, კორიცა, ზანე (ალიოზი 86)

მწვრთნელი: ფრენკ ფარინა

მაყურებელი: კარლს ბარტესი (გვატემალა)

44 400 მაყურებელი

ავსტრალიელები და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების ფრანგების მატჩმა კორეელ გულშემატკივართა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. თუმცა ტრიბუნაზე თავმოყრილმა ორმოცდათხუთასმა კაცმა თამაშით ვერ ისიამოვნა და ვერც იხალისა.

ფრანგთა მწვრთნელმა როჟე ლემერმა წინა ტურში სამხრეთკორეელთა მძლეველი სასტარტო შემადგენლობის თერთმეტი კაცი დაასვენა და ავსტრალიელებს ექსპერიმენტული გუნდით დაუპირისპირდა. „სამფეროვანთა“ ნაკრებში ერთდროულად ხუთი ახალბედა თამაშობდა. მეკარე კუპემ, ჟილემ, ნემ, ბრეშემ და ზუმანა კამარამ პირველად მოირგეს ეროვნული გუნდის მაისურა.

ავსტრალიელებს წინა მატჩი მექსიკის ნაკრებთან მოგებული ჰქონდათ. მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებს თავი არც ფრანგებთან შეურცხვენიათ, რასაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებზე ვერ ვიტყვით. თამაში ისეთი იყო, ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ავსტრალიელებს იღბალმა გაუღიმა და თავიანთ საფეხბურთო ისტორიაში ჯერჯერობით უდიდეს წარმატებას მიაღწიეს. მათ თვით პლანეტის მოქმედი ჩემპიონები, ფრანგები დაამარცხეს.

მატჩის ერთადერთი გოლი სკოკოს საჯარიმო დარტყმას მოჰყვა. ახალბედა კუპემ შეძლო და ოსტატური დარტყმა მოიგერია. ბურთს, რომელიც მეკარის ხელიდან ძელს მოხვდა, იქვე ჩასაფრებულმა ზანემ მიუსწრო და ანგარიშიც გაიხსნა. ჯარიმა კი კაპიტნის სამკლავურით მოთამაშე ფრანკ ლებეფმა აიკიდა. მატჩის არბიტრმა დამნაშავე ყვითელი ბარათით დასაჯა.

მატჩის მსვლელობაზე ვერც ლემერისეულმა ცვლილებებმა იმოქმედა. გაშვებული გოლის შემდეგ მწვრთნელმა ანელკა, პირესი და ბოლოს ვიეირა შეუშვა მინდორზე, მაგრამ ამათმა ავსტრალიელებს საფრთხეც ვერ შეუქმნეს.

სულ ეს იყო, თუ არ ჩავთვლით ლებეფის თავურს პირველ ნახევარში, როდესაც კაპიტანმა თითქმის კარში შესულმა ვერ შეაგდო ბურთი.

მოგვიანებით ლებეფი მატჩის ანტიგმირიც გახდა. როჟე ლემერი ამას ვერ მიხვდა, სამაგიეროდ, მატჩის არბიტრმა მომეტებული უხეშობისთვის კაპიტანი მეორე ყვითელით დასაჯა და კუთვნილ ალაგას, სათადარიგოთა სკამზე მიუჩინა ადგილი.

ულსანში მასპინძელმა სამხრეთკორეელებმა მძაფრ ბრძოლაში კონფედერაციათა თასის ამჟამინდელი მფლობელი მექსიკელები დასცეს. თამაში დაძაბული გახლდათ, ორივე გუნდს კარის დალაშქვრის შესაძლებლობა საკმაოდ ჰქონდა, მაგრამ ტანმორჩილმა და უფრო მოძრავმა აზიელებმა მეორე ნახევრის შუაში პირველად შეარხიეს მეტოქის ბადე. გოლი მართლაც ჩინებული გამოდგა. სუნგ იონგის ჩაწოდებულ ბურთს სუნ ჰონგმა მაღალ ნახტომში თავი შეაგება და მეკარე ოსვალდო სანჩესი უშანსოდ დატოვა.

ჩემპიონებმა დასრულებამდე 10 წუთით ადრე მასპინძელთა უპირატესობა გაქვითეს, შეცვლაზე შესულმა რუისმა საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა. თითქოს მატჩი ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ბოლო წამებზე მასპინძლებმა თავიანთი გულშემატკივარი ფრიად გაახარეს — სანგ ჩულ იოომ გამარჯვებისა შეაგდო.

გიორგი გამყრელიძე

ავსტრალია	2	2	0	0	3:0	6
საფრანგეთი	2	1	0	1	5:1	3
ს. კორეა	2	1	0	1	2:6	3
მექსიკა	2	0	0	2	1:4	0

სამხრეთ კორეა — მექსიკა. სამხრეთკორეელებმა გამარჯვებისა შეაგდეს

ოდვილ ტაპის მაღე ქადაგებას დაანყებინებენ

საფრანგეთში ბიუჯეტს კლუბები ეფირებიან

ოთხშაბათს „ტულუზმა“ ახალი ძალით შეუტია ფრანგული ფეხბურთის მამებს. „მინიმუმ სამმა გუნდმა თითქმის მთელი ჩემპიონატის მანძილზე ათამაშა ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც პასპორტები გაყალბებული ჰქონდათ. ეს სპორტული პრინციპების დარღვაა, რამაც გათამაშების საბოლოო ცხრილზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა. ამიტომ მოვითხოვთ, რომ საფრანგეთის პირველი დივიზიონის 2000-2001 წლების ჩემპიონატის შედეგები გაუქმდეს“ — განაცხადა „ტულუზის“ ადვოკატმა ბერნარ დეკერმა ოთხშაბათს, მეორე დღეს კი...

მეორე დღეს საფრანგეთის კონტროლისა და მართვის ეროვნულმა დირექციამ (კმედ) გამოაცხადა, რომ ტულუზელებმა დეფიციტური ბიუჯეტი წარადგინეს და, შესაბამისად, მათ ერთი დივიზიონით დაქვეითება მოუწევთ. ანუ გარონელები მომავალ სეზონს მეორე დივიზიონის ნაცვლად ნასიონალში დიწყებენ.

ბერნარ ტაპი

მათთან ერთად ისჯება „მარსელიც“, რომელსაც აბსოლუტურად მსგავსი პრობლემები აქვს, ანუ გასავალი აღემატება ხარჯს. თუმცა კმედ-ის ეს გადაწყვეტილება საბოლოო არ არის, გასაჩივრებას ექვემდებარება. „თუ ორ კიერაში კლუბები დამატებით ფინანსურ გარანტიებს წარმოადგენენ, მაშინ მათ წინააღმდეგ არანაირი ზომები არ გატარდება“ — განაცხადა საფრანგეთის ფეხბურთის ეროვნული ლიგის პრეზიდენტმა ჟერარ ბურგუენმა, რომელიც ამჟამად კორეაში იმყოფება, სადაც კონფედერაციათა თასის გათამაშება.

„15 დღე კი გვაქვს აპელაციის შესატანად, მაგრამ ამას დაუყოვნებლივ გავაკეთებთ, იმდენად უაზროდ, მეტი რომ არ ვთქვათ, მიგვაჩნია ეს გადაწყვეტილება“ — აღშფოთება არ დამალა საგენტო „როიტერთან“ საუბრისას „ტულუზის“ პრეზიდენტმა ჟაკ რუბიომ.

კმედ-ის გადაწყვეტილებას მარსელშიც დიდი აღშფოთება გამოუწვევია. იქ ჟურნალისტებს პირველად ქალაქის მერი ჟან-კლოდ გოდენი ესაუბრა: „ჩვენი კლუბის მეორე დივიზიონში დაქვეითება უპრეცედენტო სისულელეა, მეტი რომ არაფერი ვთქვათ!“

მარსელის მერმა ამასთანავე „ოლიმპიკის“ მთავარ აქციონერ რობერ-ლუი დრეიფუსს მოუწოდა, მაინც ანგარიში გაეწია კმედ-ისთვის და მისთვის ყველა საჭირო ფინანსური დოკუმენტი მიეწოდებინა, რომელიც დაადასტურებდა, რომ კლუბს მომავალ სეზონში ბიუჯეტი შესრულებადი აქვს. ფინანსურ დოკუმენტებში, ალბათ, უბრალოდ „მარსელისთვის“ დამატებითი თანხების გადარიცხვა იგულისხმება, რადგან კლუბის ფინანსური დირექტორის თქმით, წინა სეზონში წმინდა ზარალმა 250 მილიონი ფრანკი შეადგინა.

გუშინ საღამოს კი პარიზში პრეს-კონფერენცია გამართა „მარსელის“ ყოფილმა პრეზიდენტმა და ამჟამინდელმა სპორტულმა დირექტორმა ბერნარ ტაპიმ. მან განაცხადა, რომ უკვე ოთხი წელია, „ადიდასი“ კლუბის დეფიციტურ ბიუჯეტს თავისი მოგებიდან ავსებს და რატომ გახდა ეს „უცნობი“ ახლა, გაურკვეველია. „ოლიმპიკის“ დაძირვა ბევრს უნდა, მაგრამ ვერავინ შეძლებსო — დაამატა ტაპიმ. ბიგ-ბოსმა არც ლიგის პრეზიდენტი დატოვა გაულანძღავი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. „ბურგუენს ამ პოსტის დაკავების ისეთივე მორალური უფლება აქვს, როგორც მე ქადაგებისა“. ხოლო თუ რამდენად შეუძლია ციხიდან ახალ გამოსულ ტაპის ქადაგება, ყველას მოეხსენება. იგი ხომ უამრავი მაქინაციებისთვის დაისაჯა და, როგორც საფრანგეთში ამბობენ, ფართო საზოგადოებისთვის მისი ყველა ცოდვა ცნობილი არაა.

გუშინ მიმდინარე მოვლენებიდან ერთი რამის დასკვნა შეიძლება. „ტულუზი“ არ ვიცით და „მარსელი“ ალბათ მხოლოდ მსუბუქი შიშის ჭამით გადარჩება. თავად განსაჯეთ, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის კორეაში მყოფი პრეზიდენტი კლოდ სიმონე ამბობს, რომ იმედი აქვს, საქმე მოგვარდება, რადგან „ოლიმპიკის“ პირველი დივიზიონიდან გაგდება ყოვლად დაუშვებელია და ამას შესაძლოა უსიამოვნო გართულებები მოჰყვეს.

გაგი გურული

პირველია სუარესი, ყველა გახდა უარესი

კონფედერაციათა თასის გათამაშების მატჩში, სამხრეთ კორეისა და მექსიკის ნაკრებების დაპირისპირებისას, ოცდათორმეტი წლის კლაუდიო სუარესს ხელს ორი სამკლავური უმშვენებდა. ერთი, ცხადია, იმაზე მიანიშნებდა, რომ სუარესი მექსიკელთა კაპიტანია, მეორე კი ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების სიმრავლეს აღნიშნავდა. მექსიკელმა საკუთარი ქვეყნის ღირსება ასორმოცდამეთვრამეტედ დაიცვა. ეს სარეკორდო მაჩვენებელია. ვეტერან მექსიკელს ფიფას მიერ დაწესებული რეკორდსმენის საპატიო სამკლავური ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა და აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა ისა ნიუატომ მატჩის დაწყების წინ საზეიმოდ გადასცა.

კლაუდიო სუარესმა ერთი მატჩით აჯობა ეგვიპტელ ჰოსამ ჰასანს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეგვიპტელი ჯერ კიდევ ჯანზეა, სანჩეს — ჰასანის სარეკორდსმენო დუელი იქნებ გაგრძელდეს კიდეც.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მექსიკელებს სუარესისმაგვარი ბევრმატჩიანები სულაც არ უკვირთ. ყოფილ მეკარე ხორხე კამპოსს ნაკრებში 127, ხოლო რამონ რამირესს 122 მატჩი აქვთ ჩატარებული.

გიორგი გამყრელიძე

რეკორდსმენები

კლაუდიო სუარესი	მექსიკა	158
ჰოსამ ჰასანი	ეგვიპტე	157
ლოთარ მათეუსი	გერმანია	150
მოჰამედ ალ-დეაია	საუდის არაბეთი	149
თომას რაველი	შვედეთი	143
მაჯედ აბდულა	საუდის არაბეთი	140
მოჰამედ ალ-ქილავი	საუდის არაბეთი	138
კობი ჯონსი	აშშ	138
პეტერ შმაიხელი	დანია	129
მარსელო ბალბოა	აშშ	128
ხორხე კამპოსი	მექსიკა	127
ანდონი სუბისარეტა	ესპანეთი	126
გეორგე ჰაჯი	რუმინეთი	125
პიტერ შილტონი	ინგლისი	125
მასამო იჰარა	იაპონია	123

ფეხბურთის რუკასთან

პორტუგალიელი ნახევარმცველი სერჟიო კონსეისაუს სურვილი „ლივერპულმაც“ გამოთქვა და თანახმაა, მის სანაცვლოდ „პარმას“ 15 მილიონი დოლარი გადაუხადოს. შეგახსენებთ, რომ მისი გადაბირებით „იუვენტუსი“ და „ინტერიც“ არიან დაინტერესებული. სერჟიუ „პარმაში“ ერთი სეზონი თამაშობს, მანამდე კი იგი რომის „ლაციოს“ ღირსებას იცავდა. პორტუგალიელი და არგენტინელი მატიას ალმეიდა „ლაციომ“ „პარმას“ ერნან კრესპოში გაუცვალა და თან ფულიც დაუმატა, 50-მილიონიანი ტრანსფერი მაშინ სარეკორდო იყო.

ფრანგი ნახევარმცველი იური ჯორკაეფი შესაძლოა საშობლოში დაბრუნდეს და კარიერა „პარი სენ ჟერმენში“ გააგრძელოს. იგი „კაიზერსლაუტერნის“ დატოვებას აპირებს და პარიზულ კლუბთან უკვე აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. „მალე მწვრთნელი ლუის ფერნანდესს შევხვდები. მოხარული ვიქნები, თუ კვლავ ძველ კლუბში დავბრუნდები“ — განაცხადა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, რომელიც „პარი სენ ჟერმენთან“ 1996 წელს წავიდა, როცა თასების მფლობელთა თასი მოიგო, შემდეგ კი მილანის „ინტერში“ თამაშობდა.

იტალიური „ინტერი“ „არსენალს“ ფრანგი ნახევარმცველის, სილვენ ვილტორდის სანაცვლოდ 12 მილიონ გირვანქას უხდის. აღსანიშნავია, რომ თუ ლონდონური კლუბი ფრანგის გაყიდვაზე დათანხმდა, დაახლოებით ერთ მილიონს იზარალებს, რადგან სეზონის დაწყებამდე ვილტორდი „ბორდოსგან“ 13 მილიონად შეიძინა. „არსენალის“ დატოვება თავად სილვენსაც სურს, რომელიც ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვერ ხვდება.

გერმანულმა დორტმუნდის „ბორუსიამ“ კლუბის ისტორიაში პირველი ფრანგი ფეხბურთელი შეიძინა — „მონპელიეს“ 20 წლის მცველი აპმედ მადონი თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაიგდო ხელში. „ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა და იმედი გვაქვს, რომ ბუნდესლიგაში თავს გამოაჩენს“ — განაცხადა დორტმუნდული კლუბის სპორტულმა მენეჯერმა. აქვე აღსანიშნავია, რომ მადონის გადაბირებას „ინტერი“, „ასტონ ვილა“ და „საუთჰემპტონიც“ ცდილობდნენ.

NANDROLONE



მისჯილები: ფერნანდო კუტუ და ედგარ დავიდსი

დასვრეტა

დავიდსის და კუტუს კარიერა ფიფას ხელით აღესრულა

ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი და პორტუგალიელი ფერნანდო კუტუ ფეხბურთიდან მოკვეთეს — ასეთია მრისხანე ფიფას გადაწყვეტილება. როდემდე? — ჩნდება ლოგიკური კითხვა. პასუხი: ვადა მითითებული არ გახლავთ, ასე რომ, ერთმაც და მეორემაც ღლეიდან სხვა საშსახურის ძებნა უნდა დაიწყონ. ბუნებრივია, როგორც დავიდსი, ასევე კუტუ დღეს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრებში თავიანთ ეროვნულ ნაკრებებს ვერ დაეხმარებიან.

შეგახსენებთ, რომ ჰოლანდია და პორტუგალია ერთ შესარჩევ ჯგუფში გამოდიან და ერთმანეთის კონკურენტები არიან. პირველი დღეს ტალინში ესტონელებს ხვდება, ხოლო მეორე დუბლინში ირლანდიელებს.

როგორც ცნობილია, დოპინგის მოხმარებაში ამხილეს კიდევ ერთი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, ფრანკ დე ბური, მაგრამ მასთან დაკავშირებით ფიფა ვერდიქტის გამოტანას არ ჩქარობს და ხელმეორე ანალიზს ელოდება. გეგმის თანახმად, დე ბურის ამბავს 14 ივნისს შევიტყობთ.

ფრანკ დე ბური

აქ აღარ მოვიტანთ იმ ტექსტს, რომელიც ფიფას ვერდიქტში წერია. ეს ტექსტი ჩვეულებრივი და მომაბეზრებელია. მასში ჯერ აღნიშნულია, რომ დავიდსი და კუტუ ნანდროლონის მიღებაში ამხილეს, ხოლო შემდეგ განმარტებულია, რომ დოპინგი სპორტულ პრინციპებს ეწინააღმდეგება და რომ მისი მომხმარებელი ყველა დონის შეჯიბრებიდან უნდა მოიკვეთოს.

ამასთან დაკავშირებით ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ დაწერა პროტესტი, რომელიც ძირითადად იმას ეჯრდნობა, რომ იმავე ფიფამ საშშაბათს სრულიად ოფიციალური წერილით პირობა დადო, დავიდსს ესტონეთის წინააღმდეგ თამაშში ხელს არ შევუშლიო. ჰოლანდიელებმა მეტი დამაჯერებლობისთვის ფიფას ამ წერილის ტექსტი გადაამრავლეს და გაავრცელეს კიდეც.

„ძალიან რთული და დელიკატური საქმეა“ — განაცხადა თავად დავიდსმა — „წარმოიდგინეთ, ჯერ ვიღებ ბარათს, რომელშიც წერია, რომ თამაშის უფლება მაქვს, მერე კი იმავე ხალხისგან საპირისპირო განაჩენი მომდის. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, რადგან ესტონეთში მატჩისთვის დიდი მონდომებით ვემზადებოდი, ახლა კი, როგორც ჩანს, მოედანზე გასვლის უფლება აღარ მაქვს“.

ბაბუნა კედია

კუპერი ხელმოუნერლადაც იმუქრება

და აი, თითქმის დადასტურდა ის, რაც აქამდე გაკვრით ითქვა — მომავალი სეზონიდან ექტორ რაულ კუპერი მილანის „ინტერს“ გაწვრთნის. არგენტინელი „სან სიროზე“ სამი წლით დარჩება.

კუპერი კმაყოფილი უნდა იყოს — მის ხელფასზე საჯაროდ არაფერი თქმულა, მაგრამ „ინტერი“ „ვალენსიაზე“ მეტს რომ გადაუხდის, აშკარაა. ამასთანავე, კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ თქვა, კუპერს სატრანსფერო პოლიტიკაში სრულ თავისუფლებას ვანიჭებთო.

მაგრამ არგენტინელს ამისთვის ჯერ არ სცალია, უნამუსობა იქნება, პრიმერადივეზიონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მან „ვალენსიაზე“ აღარ იფიქროს. მით უმეტეს, ხომ ვიცით, როგორი ორი ტურიცაა — შინ „დეპორტივოსთან“ მატჩი და მერე გასვლა ბარსელონაში. სწორედ ამ ორმა ტურმა უნდა გადაწყვიტოს, მომავალ სეზონში „ვალენსია“ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს თუ უეფას თასზე.

თუმცა სანამ ექტორ კუპერი „ინტერზე“ ფიქრს საფუძვლიანად შეუდგებოდეს, ერთი რამ თქვა, შეიძლება, ბევრი ფეხბურთელი გავუშვათ გუნდიდან, მაგრამ ხავიერ ძანეტი ხელშეუხებელიაო.

კუპერის „ინტერში“ გადასვლით ხელი მოითბო „ბარსელონამაც“. კატალონიელებს მწვრთნელთან წინასწარი შეთანხმება ჰქონიათ გაფორმებული, რომლის დარღვევისთვისაც იტალიელთაგან 1,6 მილიონი დოლარი ერგოთ.

მაგრამ...

თავში რომ ვთქვით, თითქმის დადასტურდაო, ეს თითქმის რას ნიშნავს, უნდა განვმარტოთ.

გუშინ კუპერმა თავისი „ინტერში“ წასვლის ამბავი კი დაადასტურა, მაგრამ, კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მომიწერიაო, ესეც თქვა.

მოდი და გაიგე.

გიორგი დარჯანია

რა ვქნა, მივდივარ — ექტორ რაულ კუპერი ვალენსიელებს ემშვიდობება

ვრსეფვრლიტური ფიფეხილვა



ეჰვმიტანილი სერ...

იმ დილით, მიუნხენის „ბაიერნის“ მუზეუმში მტვრის გადასაწმენდად შესულ დამლაგებელს (ნუ წარმოიდგენთ გახუნებულ ბამბაზიის ხალათსა და სქელ ბამბის წინდებში გამოწყობილ სამოცი წლის დაბალ და მსუქან ქალბატონს) მინის ვიტრინა, რომელშიც ახალმოპოვებული ჩემპიონთა თასი ავანია, გატეხილი დაუხვდა. თავად ჯილდო ადგილზე იდო, მაგრამ ზედ ნათითურები ეტყობოდა.

ქალბატონმა სასწრაფოდ გამოიძახა პოლიცია (ნუ წარმოიდგენთ, რომ იკივლა), რომელიც დროულად მოვიდა და სერიოზულად შეუდგა საქმეს (ნუ წარმოიდგენთ, დამნაშავეთა გარეგნობის მქონე პოლიციელებს). უპირველეს ყოვლისა (ნუ წარმოიდგენთ, რომ დარაჯი დაიჭირეს და სცემეს) აიღეს თითის ანაბეჭდები, ჩაატარეს ლაბორატორიული ანალიზი და დაასკვნეს, რომ თასზე ხელის მიმდებს ხელთათმანები ეცვა.

— ვინღა იცვამს ჩვენს დროში ხელთათმანებს, უოტსონ? — ჰკითხა მეგობარს საქანელა-სავარძელში ჩამჯდარმა ჰოლმსმა და ვიოლინო მოიმარჯვა. ის დამოუკიდებლად იძიებდა საქმეს.

— ალბათ, მოხუცები, ჰოლმს.

— დიახ, მაგრამ სადაური მოხუცები? ქართველები?

— არა, ჰოლმს, ქართველები მაგ ასაკამდე ვერ ცოცხლობენ. მათი ცუდად ნაკვები ორგანიზმი, შუქის მოსვლა-წასვლით გამოწვეული სტრესს ვერ იტანს და ინფარქტით იხოცებიან.

— მართალია, უოტსონ. საქართველოში სულ ორი თუ სამი მოხუცია და ისინიც სკამებიდან ვეღარ დგებიან.

— მართლა?

— დიახ, ისინი დღესაც იმ სკამებზე სხედან, რომლებზეც ამ ოცდაათი წლის წინ შემოსხდნენ. მათი იქიდან გადაყენება — ტუალეტში გაყვანას ვგულისხმობ, უოტსონ — თითქმის შეუძლებელია.

— მაშ ვინ, ჰოლმს?

— აბა, თავად დაფიქრდით.

— გერმანელები გამორიცხულია, ესპანელებიც... იქნებ ფრანგები?

— თქვენი გამკვირვებია უოტსონ, ყველა ჩამოთვალეთ გარდა...

— გარდა?

— უოტსონ, ვინ არიან ქვეყნად ყველაზე დიდი ჯენტლმენები?

— ცხადია, მისი უდიდებულესობის, ბრიტანეთის დედოფლის ქვეშევრდომები.

— ყოჩაღ, უოტსონ, და, ცხადია, ხელთათმანებს, როგორც არისტოკრატული ჩაცმულობის ატრიბუტს, სწორედ ისინი იყენებენ.

— ჰოლმს, მაოცებს თქვენი დედუქციის მეთოდი.

— ჯერ სადა ხართ, ძვირფასო უოტსონ. ახლა ის მითხარით, მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომთაგან ვის სურდა ყველაზე მეტად იმ მიუნხენური ბოთლისთვის...

— თასისთვის.

— სულ ერთია, იმ ჭურჭლისთვის ხელის შეხება?

— ალბათ, მისტერ ოლირის.

— ღმერთო ჩემო, უოტსონ, მისტერ ოლირის ეგ თასი ისევე სჭირდება, როგორც მე წუხანდელი „ვოლფსბურგი“—„ბოხუმის“ ანგარიშის ცოდნა. მან რომ თასი მოიგოს, ვინღა ეტყვის, თქვენ თაგვასული ყმანვილების ცნობილი აღმზრდელი ბრძანდებით და ამ უდიდესი საქმისთვის აი, თქვენ მსოფლიოში ყველაზე დიდი ხელფასიო. მაშინ ეტყვიან, თქვენ ბრწყინვალე ჯენტლმენ-ვარსკვლავები გაბარიათ და ეგ თეფში...

— თასი, ჰოლმს.

— დიახ, ეგ ჭიქა ყოველ წელიწადს თუ არ ჩამოგვიტანე, ხელფასს შეგიმცირებთო.

— მაშ? ნუთუ, მისტერ... უკაცრავად, სერ... თვით სერ...

— ჰოლმსმა ვიოლინოზე დაკვრა დაიწყო. ის დემინემის რომელიღაც მელოდიას ქარგავდა. შემდეგ ჩაიღიმა და განაგრძო.

— მაგრამ მე დამნაშავის ვინაობა სხვანაირად გამოვიცანი.

უოტსონმა პირი დააღო.

— როგორ?

— იქ, მუზეუმში ყოფნისას თუ გეცათ „ორბიტ ვინტერფრეშის“ სურნელი?

— თითქოს, მართლაც.

— და უოტსონ, რამდენი ცალი უნდა სდებოდა დამნაშავეს პირში, რომ იმხელა დარბაზში სურნელი დატრიალებულიყო? ასეთ გიგანტურ მასას ხომ ჩვენს პლანეტაზე ერთადერთი ადამიანი ღეჭავს.

— ჰოლმს... მე გაოგნებული ვარ. ახლა რას აპირებთ?

— ვიოლინოს დაკვრას. აბა, ინგლისელი კაცი გერმანიის პოლიციას ხომ არ დავეხმარები.

ბაბუნა კედია

ავტორის ინფორმაციით, ჰოლივუდში დაიწყეს მუშაობა „ალადინის“ ახალ ეკრანიზაციაზე. ჯინის როლს რობერტო კარლოსი შეასრულებს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
ევროპა

I ჯგუფი

რუსეთი — იუგოსლავია

რუსებთან შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე იუგოსლავიის მწვრთნელთაგან ბელგრადში არავინ იყო. ვუიადინ ბოშკოვი შინ, გენუაში გახლდათ, დეიან სავიჩევიჩი „რაპიდში“ თამაშობდა, ხოლო ივან ჩურკოვიჩი საფრანგეთში წასულიყო. საფეხბურთო წრეებშიც მოსკოვურ მატჩზე ნაკლებად ლაპარაკობდნენ. იქ ყველა ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ხელახალ კონფერენციას ელის, სადაც სერბიისა და ჩერნოგორიის ამბავი უნდა გაირკვეს. ბელგრადისა და პოდგორიცის (ამათი დედაქალაქებია) საფეხბურთო მამები უკვე წელიწადზე მეტია ვეღარ თანხმდებიან. ისიც არავინ იცის, გაიყრებიან თუ კვლავაც ერთად დარჩებიან.

ამასობაში „ბებერი მგელი“ ვუიადინ ბოშკოვი ნაკრებში ვითარების მოწესრიგებას ცდილობს. მან ფეხბურთის მმართველებს მოუწოდა, რუსეთთან და ფარერებთან მატჩების წინ გაერთიანდნენ და ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის ისედაც შემცირებული შანსი სულ არ მოუსპონ.

ვარაუდობენ, რომ ბოშკოვი მოსკოვში სტუმართა ლოჟაში დაჯდება, თამაშს კი სავიჩევიჩი, მამჩილო ვუკოტიჩი და ზორან ფილიპოვიჩი გაუძღვებიან.

ბოშკოვი ამბობს: „მოსკოვში ფრეც დაგვაკმაყოფილებს. მერე, იმედია, ფარერებს მოვუგებთ, შემდგომში კი მოსამზადებლად მეტი დრო გვექნება“.

იუგოსლავიელთა ვეტერანი სინიშა მიხაილოვიჩი: „რუსები ჭკვიანურად თამაშობენ, ამიტომ დაცვაში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვიყოთ. ბელგრადელი ამბავი აღარ უნდა გამეორდეს“.

რუსთა ნახევარმცველი, ესპანურ „სოსიედადში“ გიორგი დემეტრაძის თანაგუნდელი დმიტრი ხოხლოვი მიიჩნევს, რომ ბელგრადში მასპინძლებმა საკუთარი მწვრთნელი „ჩაუშვეს“. ახლა კი ბოშკოვის ხელში გაცილებით ლაღად და მონდომებით ითამაშებენ.

ოლეგ რომანცევი, მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი კი რთული არჩევანის წინაშე დამდგარა: „გუშინ ორმხრივი ვითამაშეთ და აუგს ვერც ერთ ფეხბურთელზე ვიტყვი. ყველა კარგად გაისარჯა, ამიტომ სასტარტო შემადგენლობის შერჩევა ერთობ რთული საქმე იქნება“.

მოწინააღმდეგეზე კი რომანცევმა ეს თქვა: „მწვრთნელები გამოეცვალათ. გამოდის, თამაშს მოუმატებენ, მაგრამ ხანდახან პირიქითაც ხდება ხოლმე. ახლებმაც ხომ თითქმის იგივე ფეხბურთელები გამოიძახეს, ვისაც ძველებიც ეყრდნობოდნენ. თუმცა, მიატოვიჩის ჩათვლით ყველა ძლიერი ფეხბურთელი შეკრიბეს და მათთან გამკლავება ერთობ გართულდება“.

ფარერები — შვეიცარია

ალან სიმონსენს, ფარერების დამრიგებელს, პრობლემები მისძალდია. არ ეყოლება მთავარი მეგოლე ტოდი იონსონი, რომელიც „კოპენჰაგენში“ თამაშობს და „ბრონდბიუსთან“ გადამწყვეტი მატჩისთვის დანაში დარჩენა ამჯობინა. არ იქნება ფედერაციაზე გაბრაზებული პოლ ტორსტეისონი და დაშავებული კაპიტანი იენს-კრისტიან ჰანსენი.

შვეიცარიელთა არგენტინელმა მწვრთნელმა ენცო ტროსერომ კი განაცხადა, რომ ყველა უძლიერესი შეკრება, „ბაიერნის“ გამთამაშებელ ჩირაკოსფორცას ჩათვლით, რომელიც ცნობილი ამრევი და სკანდალისტია. ერთადერთი დანაკლისი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი შტეფან შაპუიზაა: „გრასჰოპერის“ ბოლო მატჩებში ხშირად ვრისკავდი, ახლა კი ტკივილისგან ფეხსაც ვეღარ ვანძრევ“ — თქვა შაპუიზამ. მის მაგიერ მწვრთნელებმა „ნაპოლის“ შემტევი სეზა მიიწვიეს.

სლოვენია — ლუქსემბურგი

სლოვენიელთა მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი ამ დღეებში ესპანეთში ყოფილა, სადაც „სოსიედადის“ ხელმძღვანელებს ელაპარაკა. ბასკებს მისი გადაბირება სურდათ, მაგრამ კატანეცმა უარი უთხრა — ახლა მხოლოდ ნაკრები მაინტერესებსო. უახლოეს ხანში კატანეცი ეროვნული გუნდის მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავებას აპირებს. მანამდე კი ახალი კაპიტანი ჰყავს — ალეშ ჩეჰი. ჩეჰს უთქვამს, ლუქსემბურგი კი არა, მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად უნდა მოვხვდეთო...

სოლომონ გულისაფვილი

რუსეთი	5	4	1	0	7:1	13
შვეიცარია	5	2	2	1	13:5	8
სლოვენია	5	1	4	0	8:7	7
იუგოსლავია	4	1	2	1	4:3	5
ფარერები	4	1	1	2	5:8	4
ლუქსემბურგი	5	0	0	5	1:14	0

III ჯგუფი

ისლანდია — მალტა
ჩრდ. ირლანდია — ბულგარეთი
დანია — ჩეხეთი

ბელფასტში გასამართი მატჩის წინ გავრცელდა ცნობა, რომ ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი სტოიჩო შლადენოვი 2 და 6 ივნისის შეხვედრების შემდეგ ეროვნული გუნდის დატოვებას და სოფიის ცსკა-ს თავკაცად გადასვლას აპირებს. ამ ინფორმაციამ ბულგარეთის ნაკრების ახლანდელი შედეგების გათვალისწინებით ბევრი გააოცა. მოეწყო საგანგებო პრესკონფერენცია, სადაც ეროვნული გუნდის მწვრთნელმა დაადასტურა, რომ სოფიური კლუბიდან მართლაც მიიღო მიწვევა, თუმცა ამაზე უარი თქვა, რადგან ნაკრებში მუშაობით კმაყოფილია და მიზნად ისახავს, ბულგარელები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ათამაშოს. მით უმეტეს, რომ ამის რეალური შანსი არსებობს — გუნდი ჯგუფში მეორე ადგილზეა.

პრინციპული მატჩის სათამაშოდ და კუნძულიდან სამი ქულის წასაღებად ჩავიდნენ ბულგარელები ჩრდილოეთ ირლანდიაში. მათ სამი თვის წინ სოფიაში ბრიტანელები 4:3 დაამარცხეს და თუ მსგავს წარმატებას ახლაც გაიმეორებენ, შანსი აქვთ, ჯგუფის მეორე შეხვედრის, დანია — ჩეხეთის შედეგის გათვალისწინებით პირველ ადგილზე გადაინაცვლონ.

ბულგარელებს აკლიათ წამყვანი ნახევარმცველი მარიან ხრისტოვი, რომელიც ტრავმირებულ მუხლს მკურნალობს. ექიმები იმედოვნებენ, რომ „კაიზერსლაუტერნის“ მოთამაშე 6 ივნისს ისლანდიელების წინააღმდეგ მაინც მოახერხებს მინდორზე დაბრუნებას.

სავარაუდოდ, ვერც ერთ მატჩში ვერ ითამაშებს სოფიის „ლევსკის“ მცველი ილიან სტოიანოვი. იგი დაშავებულია და გუნდში მის ადგილს სოფიის „ლოკომოტივის“ მცველი იორდან პეტკოვი დაიკავებს.

ნაკრებში პირველად გამოიძახეს ვლადიმირ მანჩევი. სოფიის ცსკა-ს ფორვარდმა წლეულს ბულგარეთის ჩემპიონატში თავი გამოიჩინა და ეროვნული გუნდის მაისურის ღირსიც გახდა.

ახლა ბრიტანელებზეც ვთქვათ. მათ მიაჩნიათ, რომ სამი თვის წინ სოფიაში არაობიექტური მსაჯობის გამო დამარცხდნენ და ბულგარელებს ქულის აღებაც კი გაუჭირდებოდათ, არბიტრი რომ არ დახმარებოდათ. „არა მგონია, ბელფასტშიც ივივე მოხდეს, რაც სოფიაში. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ის შედეგი არასამართლიანი იყო, თანაც მოგებით საგზურის მოპოვების შანსი უნდა შევინარჩუნოთ“ — განაცხადა ბრიტანელმა მცველმა კოლინ მარდოკმა.

ჩრდილოეთ ირლანდიას თითქმის ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავს. ტრავმები თითქმის არავის აწუხებს და კიდევ ერთი — ბულგარეთის ნაკრების მსგავსად, ბრიტანელთა რიგებშიც შეიძლება გამოჩნდეს დებიუტანტი. მწვრთნელმა სემი მაკილროიმ „სანდერლენდის“ მცველ ჯორჯ მაკარტნის უხმო, რომელმაც შესაძლოა, ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრაშიც ითამაშოს და ძირითად ნაკრებშიც.

ჯგუფის მეორე და ძალიან პრინციპულ მატჩს კოპენჰაგენი უმასპინძლებს. დანიელები პირველადგილოსან ჩეხებს დაუხვდებიან. ჩეხთა ლიდერმა პაველ ნედვედმა „ლაციოდან“ სანაკრებო შეკრებაზე გამგზავრებამდე განაცხადა, რთული და გადამწყვეტი შეხვედრა იქნება, დანიელები, ცხადია, იოლად არ დანებდებიან, ჩვენ კი სამი ქულის მოპოვების შემთხვევაში ერთ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ კორეა-იაპონიისკენო.

ნიკა შუბლაძე

ჩეხეთი	5	3	2	0	6:0	11
ბულგარეთი	5	3	1	1	10:6	10
დანია	5	2	3	0	9:3	9
ისლანდია	5	2	0	3	7:9	6
ჩრდ. ირლანდია	5	1	1	3	5:7	4
მალტა	5	0	1	4	1:13	1

ბულგარელები ბელფასტშიც გამარჯვებისთვის ითამაშებენ

II ჯგუფი

ფრანკ დე ბურს (მარცხნივ) თამაშის უფლება ჯერ აქვს...

ესტონეთი — ჰოლანდია

ჰოლანდიის ნაკრები ტალინში იმ იმედით ჩავიდა, რომ ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოს ყურადღებას ფეხბურთით მიიპყრობს და არა სკანდალებით.

„იმედი გვაქვს, რომ გეგმის თანახმად ვიმუშავებთ და ფეხბურთზე კონცენტრაციას შევძლებთ“ — განაცხადა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა, რომელსაც ისევე როგორც ფეხბურთელებს, ფრანკ დე ბურისა და ედგარ დავიდსის დოპინგზე უამრავი კითხვა დაუსვეს.

„ესტონეთის შესახებ, მთელი პრეს-კონფერენციის განმავლობაში, ვგონებ, სულ ორჯერ გვკითხეს. დანარჩენ დროს დოპინგზე ვლაპარაკობდით“ — გაიცა ფილიპ კოკუმ.

საქმე კი ის გახლავთ, რომ ტალინისკენ გამგზავრების დღეს ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ოფისში ფიფადან მივიდა ფაქსი, რომელშიც ეწერა, რომ ედგარ დავიდსი (ისევე, როგორც პორტუგალიელი ფერნანდო კოუტუ) ფეხბურთიდან მოკვეთილები არიან. ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ, ბუნებრივია, პროტესტი არ დააყოვნა და დასძინა, რომ კვირის დასაწყისში მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ მას დავიდსის თამაშის ნებართვა აღუთქვა. ვან გაალმა ტალინურ პრეს კონფერენციაზე გაავრცელა კიდეც იმ ფაქსის ასლი.

ჰოლანდიელთათვის კიდევ ერთი სერიოზული დარტყმა მარკ ვან ბომელის ტრავმა გამოდგა. ვან გაალს იმედი ჰქონდა, რომ „პსვ ეინდჰოვენის“ ფორვარდი გაბზარულ ფეხის თითს მოიშუშებდა, მაგრამ ვან ბომელს ვარჯიშიდან შინ დაბრუნება მოუხდა.

ერთადერთი დადებითი ის გახლავთ, რომ დავიდსის მსგავსად დოპინგის მოხმარებაში მხილებული კაპიტანი ფრანკ დე ბური, დავიდსისგან განსხვავებით ჯერ დისკვალიფიცირებული არ არის.

ესტონეთზე კი, მართლაც, ფაქტობრივად არაფერი თქმულა, მაგრამ ფაქტია, რომ ჰოლანდიელებმა უნდა დაამარცხონ მეტოქე. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიის ნაკრები 11 ქულით მეორე ადგილზეა და სამით ჩამორჩება ირლანდიას, რომელიც დუბლინში პორტუგალიას მასპინძლობს და ამ მატჩით ძალიან ბევრი რამ გადაწყდება. პორტუგალია ხომ ქულებით ჰოლანდიელთა თანაბრადაა. თუმცა ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

ერთი სიტყვით, მეორე ჯგუფის ერთ-ერთი უმთავრესი თამაში პირველ სექტემბერს, ისევ და ისევ დუბლინში, ირლანდიისა და ჰოლანდიის მონაწილეობით გაიმართება.

ირლანდია — პორტუგალია

დუბლინში, „ლენსდაუნ როუდზე“ დიდი მატჩია — ირლანდია პორტუგალიას მასპინძლობს. თუ ირლანდიელები გაიმარჯვებენ, გაისად იაპონიასა და კორეაში გასამგზავრებლად მყარ ნიადაგს შეიმზადებენ, ხოლო პორტუგალიელებს მეორე ადგილისა და პლეიოფში მოხვედრის შანსს დაუტოვებენ.

ამიტომაც ამბობს სტუმართა მწვრთნელი ანტონიო ოლივეირა: „ვიცით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა ამ თამაშზე დიდადაა დამოკიდებული. მწამს, გავიმარჯვებთ და ჯგუფის ლიდერები გავხდებით“.

ირლანდია, რომელიც დიდ ტურნირზე 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ არ ყოფილა, დღევანდელ მეტოქეს სამი ქულით უსწრებს. ამდენივე უსწრებს ჰოლანდიასაც, რომელიც დღესვე ტალინში ესტონეთს ეთამაშება. ირლანდიელთა მწვრთნელი მიკ მაკარტი კი არ მალავს, რომ პორტუგალიის ნაკრების დიდი თაყვანისმცემელია.

„პორტუგალიელთა ცქერა ერთი სიამოვნებაა თუ, რა თქმა უნდა, შენს წინააღმდეგ არ თამაშობენ. მათ საოცრად ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ და მე ისინი ძალიან მიყვარს. მაგრამ თუ მოვიგებთ — და მნიშვნელობა არ აქვს, ამას როგორ მოვახერხებთ — მილიონობით ადამიანს გავახალისებთ.“

პორტუგალიელებს დაშავებული ჰყავთ „პარმას“ ნახევარმცველი სერჟიო კონსეიკაო, რომელმაც იტალიის თასზე თამაშის დროს ნეკნები დაიხანა, ხოლო ლაციოელი გამოცდილი მცველი ფერნანდო კოუტუ ფიფამ დოპინგის მიღებისთვის დასაჯა და საერთოდ აუკრძალა ფეხბურთის თამაში, რასაც პორტუგალიურმა პრესამ „ოპერაცია ირლანდია“ შეარქვა.

ამაზე მაკარტი ასე მსჯელობს: „თუ მან მართლა მიიღო დოპინგი, მაშინ ვერდიქტი სამართლიანია“.

თავად მაკარტის ტრავმების მხრივ კარგად აქვს საქმე. „ლიდს იუნაიტედის“ თავდამსხმელი რობი კინი, რომელსაც კოჭი სტკიოდა, მოშუშდა, სტივენ კარი კი ვარჯიშის დროს დემიენ დაფს შეასკდა და დაშავდა, მაგრამ მაკარტის ეჭვი არ ეპარება, რომ თამაშისთვის რიგზე იქნება. ერთადერთი მუცლისკუნთსატკენი მცველი კენი კანნგემი ვერ გავა მოედანზე.

მაკარტი თავდასხმაში ზემოხსენებული კინითა და სანდერლენდელი ნილ ქუინით თამაშს აპირებს. ამ წყვილმა ირლანდიელებს ბოლო შვიდ შეხვედრაში ოთხი გამარჯვება და სამი ფრე მოუტანა.

საინტერესოა ირლანდიელი იან პარტის მოსაზრებანიც. იგი, მოგეხსენებათ, „ლიდს იუნაიტედში“ თამაშობს და ამ სეზონში მადრიდის „რეალის“ ანუ ლუიშ ფიგუს წინააღმდეგ დამდგარა. ეს გუნდები ხომ ჩემპიონთა ლიგაში გადაეყარნენ ერთმანეთს.

„პორტუგალია საუცხოო გუნდია, ხოლო ფიგუ — დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი ფეხბურთელი. მაგრამ მას ტყუილად წაქცევა უყვარს. რატომ? ეს ჩემთვის გაუგებარია. ამდენი კლასის ფეხბურთელი რატომ ვარდება ხოლმე უმიზეზოდ? ვგონებ, მას ასეთი ციხიზმი არ უნდა სჭირდებოდეს. მისი ოსტატობა ხომ ისედაც მრავლისმეტყველია. მის წინააღმდეგ თამაშს კი ასე ვაპირებ: თავდანვე ერთი-ორს ისე დავეჭვრები, რომ მწყობრიდან გამოვიყვანო. სანამ ის ეშხში შევა, მანამდე უნდა წავუხდინო ხალისი. მე ხომ ვიცი, რომ უმაღლესი კლასის მიუხედავად ერთი დიდი ნაკლი აქვს, უხეშობას ვერაფერს უპირისპირებს. თორემ ისე, ამ ოინების ოსტატს თუ დრო და მანძილი დაუთმე, ვერაფერს გახდები“ — ამბობს მცველი.

ბაბუნა კვედია

საავარაუდო შემადგენლობები

ირლანდია: ვიგენი, კელი, ბრინი, დანი, ჰარტი, ჰოლანდი, კინსელა, როი კინი, კილბენი, რობი კინი, ქუინი

პორტუგალია: კმი, ნუნუ ფრეი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
ევროპა

IV ჯგუფი

თურქეთი — აზერბაიჯანი
მაკედონია — მოლდოვა
შვედეთი — სლოვაკეთი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეოთხე ჯგუფში სამი გუნდი თავგამოდებით იბრძვის კორეა-იაპონიის საგზურისთვის. მაკედონიას, მოლდოვას და აზერბაიჯანს ფაქტობრივად ამოწურული აქვთ ჯგუფიდან გაღწევის შანსი. ამიტომ შვედეთს, თურქეთსა და სლოვაკეთს შორისაა საძიებელი ის იღბლიანი, რომელიც ავტომატურად მოიპოვებს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლებას.

ტურის ცენტრალურ მატჩში შვედეთი პირველადგილოსან სლოვაკეთს მასპინძლობს. ფაქტია, დიდი გამოცდა ელის აღმავლობის გზაზე მდგარ სლოვაკეთის გუნდს. ჩეხოსლოვაკიის განაყოფ ამ ქვეყანას ბოლოდროინდელი საფეხბურთო მიღწევებით თამამად შეუძლია დაიტრაბახოს. შესარჩევი ეტაპის დაწყების წინ სლოვაკეთი არ ითვლებოდა ფავორიტად, მაგრამ განვლილ ხუთ შეხვედრას სლავები წაუგებლად დაუძვრნენ. ის კი არა, სტამბოლში თურქების დამარცხებაც შეეძლოთ, მაგრამ საბოლოოდ ფრეს გამორჩნენ. თუ სლოვაკეთმა მოახერხა და სტოკჰოლმში ფრეს გამოჰკრა ხელი, ოთხი დღის შემდეგ გულდამშვიდებული შეხვდება აზერბაიჯანის ნაკრებს.

ჰაერივით სჭირდებათ მოგება მასპინძლებს, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ბოლო დროს აშკარად ვერ მისდით კარგად საქმე სკანდინავიელებს და თითოეული ქულის მოპოვება დიდი ძალისხმევის ფასად უჯდებათ.

მოსალოდნელი იყო, საამმატჩოდ შვედებს „ბარის“ ფორვარდი იქსელ ოსმანოვსკი დაჰკლებოდათ, რომელიც დინინგ-სკანდალში გაეხვია და დისკვალიფიკაციაც ემუქრებოდა, მაგრამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გაამართლეს. აკრძალული ნივთიერება მის ორგანიზმში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც ექიმმა ხველების საწინააღმდეგო წამალი გამოუწერა. დასტაქარს შეცდომით სხვა წამლის რეცეპტი მიუცია ფეხბურთელისთვის. განსხვავება სულ ორ ბგერაში ყოფილა. სწორედ ამ გარემოებამ იხსნა შვედის კარიერა და მისი ქვეყნის გუნდს თავდასხმის ხაზში ჰენრიკ ლარსონის მეწყვილის პრობლემა მოუხსნა.

აბა, ვის გჯერათ, რომ აზერბაიჯანელები თუნდაც ქულას წაიღებენ თურქეთიდან? თუ ვინმე ამ აზრზეა, ვურჩევთ, ფუჭი ფიქრები თავიდან ამოიგდოს. აგერ, სტამბოლში გაფრენის წინ აზერბაიჯანელებმა ომახიანად განაცხადეს, ვიცით, რომ წავაგებთ, მაგრამ შევეცდებით, გააზრებული ფეხბურთი ვითამაშოთ და ბოლომდე ვიბრძოლოთო. ამ მატჩით თურქეთის კარგი შანსი აქვს, ბურთების სხვაობის უკეთეს ბალანსზე იზრუნოს. ღღესდღეობით მუსტაფა დენიზლის შეგირდები მხოლოდ ამ კრიტერიუმით ჩამორჩებიან სლოვაკებს.

მაკედონია ჯერაც მოუგებელ მოლდოვას ხვდება. ალექსანდრ მაციურას გუნდის უიღბლო სერია კვლავაც გრძელდება. მოგებას ვინ ჩივის, ბოლო შვიდ მატჩში ერთი გოლი რაა, ისიც ვერ გაუტანიათ მეტოქის კარში მოლდოვებს. სკოპიეში ჩასული მაციურა კი იქადნება, ნავსს გავტეხთ და გოლს გავიტანთო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თავისი გუნდის გამარჯვებაში დარწმუნებულია. მთავარმა მწვრთნელმა ბოლო მატჩში შვედებთან დამარცხების შემდეგ რადიკალურ ზომებს მიმართა და ოთხი ფეხბურთელი დაითხოვა ნაკრებიდან, მათ შორის ერთობ ცნობილი, ზიმბრუელი ალეანდრ კურტიანუ. მასთან ერთად მოკვეთილ პროგანიუკზე, ბორეცსა და კომლენოვზე მაციურამ მოკლედ მოჭრა, ესენი ნაკრების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენო.

მცირე პრობლემა აქვთ მაკედონიელებს, მათ ტრავმირებული მეკარე იანე ნიკოლო მოისაკლისეს, მის ნაცვლად ნაკრების მწვრთნელმა გორე იოვანოვსკიმ ეროვნულ გუნდში ტრაბზონსფორელ პეტ მილოსევსკის უხმო.

ბაატა ძვანტალიანი

V ჯგუფი

სომხეთი — ბელარუსი
უელსი — პოლონეთი
უკრაინა — ნორვეგია

პოლონეთი	5	4	1	0	13:4	13
ბელარუსი	5	3	1	1	7:6	10
უკრაინა	5	2	2	1	6:6	8
უელსი	5	0	4	1	5:6	4
ნორვეგია	5	0	2	3	4:7	2
სომხეთი	5	0	2	3	5:11	2

VI ჯგუფი

ხორვატია — სან მარინო
ბელგია — ლატვია

შოტლანდია	5	3	2	0	10:3	11
ბელგია	4	2	2	0	16:3	8
ხორვატია	3	1	2	0	5:2	5
ლატვია	5	1	1	3	3:10	4
სან მარინო	5	0	1	4	2:18	1

VII ჯგუფი

სანტიაგო კანისარესი

ესპანეთი — ბოსნია
ლიხტენშტაინი — ისრაელი

მსოფლიოს ჩემპიონატის მეშვიდე საკვალიფიკაციო ჯგუფში ავსტრიელები ლიდერობენ. ისინი ამ უქმეებზე ისვენებენ. ავსტრიელების მდევარი ესპანელები კი ოვიედოში ბოსნიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებენ. პირნეელები ამ მატჩში და ჯგუფშიც, მრავალთა აზრით, ფავორიტებად ითვლებიან. თუმცა ესპანელთა მწვრთნელი კვირას გასამართ მატჩს სერიოზულად უყურებს. ხოსე ანტონიო კამაჩოს თქმით, იოლი თამაშები დღეს აღარ არსებობს, მართალია, ბოსნიელები დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობენ, მაგრამ უბრძოლველად არაფერს დათმობენ. ეს, რაღა თქმა უნდა, მწვრთნელის თავმდაბლობასა და წინდახედულობაზეც მეტყველებს. კამაჩომ ზუსტად ამგვარი განცხადება გააკეთა ლიხტენშტაინის ნაკრებთან მატჩამდეც.

ესპანელთა მწვრთნელი იკერ კასილიასს ისევ გამოცდილ კანისარესს ამჯობინებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყმაწვილი მეკარე ამ ბოლო დროს საკმაოდ სცოდავს. კამაჩო შეტევაში რაულს, სავარაუდოდ, დიეგო ტრისტანტს შეუწყვილებს. ესპანელები ალბათ შეუტევენ და წარმატების მიღწევაც, ვფიქრობთ, არ უნდა გაუჭირდეთ. თუმცა ხუთ ფეხბურთელს — სერხის, მუნიტისს, ელვერას, ბარახასა და მანუელ პაბლოს სიფრთხილე მართებს. მათ წინა თამაშებში გაფრთხილებები მიიღეს.

ბოსნიელები ლიდერ სალიჰამიჯიჩსა და ზელეჟნიჩარელ საბიჩს მოისაკლისებენ. მწვრთნელ მიშო სმაილოვიჩს საკვირაო მატჩისა დიდად არ ეიმედება: „სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება თუ შევძელით და მასპინძლებს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ. ყოველ შემთხვევაში, შევეცდებით, ლამაზად ვითამაშოთ. ოვიედოს მატჩი ჩვენთვის დიდი გამოცდაა. წინ კი უფრო მნიშვნელოვანი შეხვედრები გველის ისრაელთან, ავსტრიასა და ლიხტენშტაინთან“.

გიორგი გამარდაშვილი

ავსტრია	5	3	2	0	7:3	11
ესპანეთი	4	3	1	0	10:2	10
ისრაელი	4	2	0	2	6:5	6
ბოსნია	4	1	1	2	6:6	4
ლიხტენშტაინი	5	0	0	5	0:13	0

IX ჯგუფი

ფინეთი — გერმანია
საბერძნეთი — ალბანეთი

ფინეთი და გერმანია აქამდე თორმეტჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ფინელებმა ოდენ ერთი მოიგეს. ეს ცნობა და მეტოქეთა რეალური ძალა გვაფიქრებინებს, რომ ფავორიტი გერმანიაა. თუმცა 36 ათასი გულშემატკივარი ჯერ კიდევ ორი თვის წინ რომ შეიძინა ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონის ბილეთი, სხვაგვარად უნდა ფიქრობდეს.

საპარაუდო შემადგენლობები

ფინეთი: ნიემი, ჰიიპია, ტიჰინენი, საარინენი, პასანენი, რიიპილატი, კოლკა, ნურმელა, ლიტმანენი, იუპანსონი, ფორსელი

გერმანია: კანი, რემერი, ნოვოტნი, ლინკე, ასამოა, რამელო, ბალაკი, ბოდე, რიკენი, ნოიენლი, იანკერი

გერმანია	4	4	0	0	9:3	12
ინგლისი	4	2	1	1	5:3	7
ფინეთი	4	1	1	2	3:4	4
ალბანეთი	4	1	0	3	5:7	3
საბერძნეთი	4	1	0	3	3:8	3

ჯერალდ ასამოამ (№7) გერმანიის ნაკრებში დებიუტი გოლით აღნიშნა

ახტუნგ, ახტუნგ!
მოედანზეა შავი გერმანელი

გერმანული პრესა მისი სურათებით აჭრელდა. „ის ჩვენი ახალი რჩეულია!“ — პირველ გვერდზე დაჰკივლა პოპულარულმა „ბილდმა“. „გოლი გოლად და ამასთან მან დიდი უნარიც გამოამჟღავნა“ — თქვა ბუნდესნაკრების თავკაცმა რუდი ფიოლერმა.

ეს ყველაფერი შუა კვირაში გერმანიისა და სლოვაკეთის ეროვნულ გუნდთა ამხანაგურ მატჩს მოჰყვა. იმ შეხვედრის 50-ე წუთზე მასპინძელთა შავკანიანმა ჯერალდ ასამოამ მეტოქე მოატყუა და ცაციათი ზუსტად დაჰკრა. შედეგად, გერმანიის ნაკრებში ახალი დროება დადგა.

პრინციპში, განაში დაბადებული ასამოა არ არის პირველი შავკანიანი, ვინც გერმანიის ნაკრების მაისურა მოირგო — 1974 წელს დორტმუნდელი ფორვარდი ერვინ კოსტედე ჩარიცხეს ეროვნულ გუნდში, თუმცა გულშემატკივრების გულისწყრომა იმდენად დიდი იყო, მხოლოდ რამდენიმე, ისიც გასვლით მატჩში ათამაშეს. 5 წლის მერე ჰამბურგელი ჯიმი ჰარტვიგიც, ვინც თავის დროზე ორჯერაა თბილისში ნამყოფი, დაიტანჯა ცუდი მოპყრობით.

მაგრამ ესენი ამერიკელი ჯარისკაცების გერმანიაში დაბადებული შვილები იყვნენ, 22 წლის ასამოამ კი მხოლოდ შარშან მიიღო იმ ქვეყნის მოქალაქეობა, სადაც 12 წელია ცხოვრობს. ის არ ფიქრობს, რომ ულტრამემარჯვენე განწყობით განთქმულ გულშემატკივრებს აზრს შეაცვლევინებს — კარგია, რამდენიმე იდიოტიც თუ დარწმუნდება, რომ გერმანიისთვის სარგებლის მოტანა შავ კაცსაც შეუძლიაო, ასე ამბობს.

რამდენიმე კი არა, გატანილი გოლის შემდეგ ბრემენში შეკრებილი 20-ათასიანი ბრბო ლამის უკლებლივ ფეხზე წამოდგა და ოვაცია გაუმართა, თუმცა შეიძლება ეს უფრო სხვა რამის გამო იყო. საქმე ისაა, რომ ასამოა საკუთარი რისკის ხარჯზე თამაშობს, ვინაიდან ექიმებმა მას დიდი ხანია ფეხბურთის თამაში აუკრძალეს. ეს სამი წლის წინ მოხდა, როცა მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთ შეხვედრაში ჯერალდს გული მოედანზევე წაუვიდა. ნორჩ ზანგს გულის დაავადება აღმოუჩინეს, აი, ნიგერიელ კანუს რომ ჰქონდა, ისეთი, მაგრამ ხომ ხედავთ, დღემდე თამაშობს. ერთი ეგაა, მისი „შალკეს“ ხელმძღვანელობას ყოველ თამაშზე სასწრაფო დახმარების მთელი მოწყობილობის მობილიზაცია უხდება.

ასეა თუ ისე, ასამოამ ბუნდესნაკრებამდე მიაღწია და იქ დებიუტი გოლითაც აღნიშნა. „ღმერთს ვუმადლი, ოცნება რომ ამიხდინა. სწორად მოვიქეცი, გერმანიის ნაკრებში თამაში რომ ვარჩიე“ — აცხადებს ჯერალდი, ვინც თავის დროზე მშობლიური განის ეროვნულ გუნდში თამაშზე უარი განაცხადა.

მაშ ასე, ინგლისისა და საფრანგეთის დარად, შავკანიანები იტალიისა და გერმანიის ნაკრებებშიც აღმოჩნდნენ. შეგახსენებთ, რომ წინა თვეში სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ „სკუადრა აძურას“ რიგებში იტალიელი მამისა და სომალელი დედის შვილი, პერუჯელი ფაბიო ლივერანის დებიუტი შედგა.

კარგია ეს თუ... გააჩნია ვისთვის და რისთვის, თუმცა აქ ფეხბურთზე ვსაუბრობთ, სადაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ეთნიკურად ჭრელი საფრანგეთია, ეთნიკურად სუფთა გერმანია კი ევროპის ბოლო ჩემპიონატზე პირველივე ეტაპიდან დაიფრინეს.

ასამოა კი ყველა შემთხვევაში ძლიერი ბიჭია — მან გულის ავადმყოფობაც დაძლია და რასიზმიც.

გიგა ძოგაახიძე

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 3 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე. 18 საათი

საქართველო — ბულგარეთი

საქართველოს ნაკრების ვარჯიში

ნუკრი ვარდანიძის ფოტო

ვლადიმერ ბოისამ ჩატენვეშიც წაივარჯიშა

სლოვენიური შეკრებიდან დაბრუნებულმა საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ დილით მეორე ვარჯიში ჩაატარა სპორტის სასახლეში. ვარჯიში თორმეტის ნახევარზე იყო დანიშნული. პირველმა დარბაზში სლოვაკური „ლევიცეს“ ქართველმა ლეგიონერმა დავით ბერძენიშვილმა შემოაბიჯა. შემდეგ არჩილ ჟღენტი გამოჩნდა. რამდენიმე წუთში მოსულთ „სლოვანის“ ქართული ტრიო — ვლადიმერ ბოისა, ნიკა ცქიტიშვილი და დავით უგრეხელიძე შეემატა. დათქმული დროისთვის ყველა ადგილზე იყო. ბოლოს მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძეც მოვიდა და ვარჯიში დაიწყო. მოედანზე თორმეტი კალათბურთელი გავიდა. იმ შემადგენლობას, რომელიც სლოვენიაში წასვლამდე შეიკრიბა, ორი მოთამაშე აკლდა — დავით ძუშკუდიანი და ზვიად ბაბიაშვილი კი მოვიდნენ, მაგრამ არ გამოუცვლიათ, ვარჯიშს ტრიბუნიდან ადევნებდნენ თვალს.

მთლიანად ვარჯიში მცირე ხანს გაგრძელდა და ძირითადად მსუბუქი იყო. მწვრთნელი კარსმოძღვარი თამაშების წინ მოერიდა კალათბურთელების ზედმეტად დატვირთვას. მოთელვის შემდეგ ზურაბ ტომარაძემ თორმეტეული ორად გაყო. ერთ მხარეს ცქიტიშვილი, ბერძენიშვილი, თორთლაძე, ხოშტარია, უგრეხელიძე და გოგობერიშვილი იყვნენ, მათ საპირისპიროდ — ჟღენტი, ნაცვლიშვილი, ბოისა, ბეჟანიშვილი, კოკოლიშვილი და შენგელია. პირველი ექვსეულიდან მოთამაშეები მორიგეობით დგებოდნენ დაცვაში და ცდილობდნენ, მეორე ექვსეულიდან ასევე მორიგეობით შეტევაზე წამოსული ორი მოთამაშესათვის შეტევის დაგვირგვინებაში ხელი შეეშალათ. მთავარი მიზანი მეტოქის ფარში რაც შეიძლება მეტი ბურთის ჩაგდება იყო შეტევისათვის გამოყოფილ 3 წუთში. ვარჯიში ამ სახით თხუთმეტიოდე წუთს გაგრძელდა. შემდეგ მწვრთნელმა ორი ხუთეული ჩამოაყალიბა და ცალ ფარში რამდენიმე კომბინაციის დამუშავება იწყო. არც ეს გაგრძელებულა დიდხანს. მერე ტომარაძემ შეგირდებს დაავალა, ორმოცდაათ-ორმოცდაათჯერ ესროლათ და ვარჯიშიც ამით დაესრულებინათ, თვითონ კი ნაკრების კაპიტან ვატო ნაცვლიშვილთან და ლეგიონერებთან ერთად სპორტის სასახლეშივე, „მაკაბის“ ოფისში დაგეგმილ პრესკონფერენციაზე გაემართა.

ირაკლი ბერტაია

პრესკონფერენცია

გუშინ, ნაკრების ვარჯიშის შემდეგ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მესვეურებმა და გუნდის მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს სპორტის სასახლეში, სადაც ნაკრების კაპიტან ვახტანგ ნაცვლიშვილთან და ჩვენს ლეგიონერებთან ერთად კარსმომდგარ თამაშებთან დაკავშირებით ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას შეეცადნენ. პირველი შეკითხვა, ბუნებრივია, ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ზურაბ ტომარაძის** *მიმართ გაისმა. ინტერესის ობიექტს ბულგარეთის გუნდი წარმოადგენდა:*

— მეტოქეზე გარკვეული ვიდეომასალა მოგვეპოვება. ვიცით, რომ ისინი ძირითად აქცენტს სისწრაფეზე და იმპროვიზაციაზე აკეთებენ, რითაც ნაწილობრივ ჩვენს ნაკრებს ჩამოგვანან. ბულგარელები საკუთარ კედლებში ტრადიციულად კარგად თამაშობენ. მათ დაამარცხეს შვედეთი და ჩეხეთი, რომლებთანაც ჩვენ წავაგეთ. ხოლო ისეთ გრანდთან, როგორიც ისრაელია, მხოლოდ ხუთი ქულა დათმეს. რამდენადაც ვიცი, მათი შეკრება თურქეთში, რომელსაც „ეფეს პილსენის“ ბაზაზე გეგმავდნენ, ჩაიშალა. სამწუხაროდ, მეტი ინფორმაცია არა გვაქვს.

ამის შემდეგ ზურაბ ტომარაძემ სიტყვა ბულგარეთში ნათამაშევ ვახტანგ ნაცვლიშვილს გადაულოცა:

— ბულგარეთის საკალათბურთო ლიგა მაღალი დონით არ გამოირჩევა, საშუალო ნაკრები ჰყავთ. ჩემი იქ თამაშის დროს მათი ერთადერთი ლეგიონერი საუდის არაბეთში თამაშობდა. ახლა, როგორც ვიცი, მათი რამდენიმე კალათბურთელი იტალიის მეორე ლიგაში თამაშობს, ერთიც რუსეთშია. ვფიქრობ, არ უნდა გაგვიჭირდეს. პროგნოზისაგან თავს შევიკავებ, რადგან რამდენჯერაც მოგებას დაგპირდით, იმდენჯერ წავაგეთ. ამიტომ ვკობს, არაფერი ვთქვა.

ნუკრი ვარდანიძის ფოტო

ხელმძღვანელობა (ზურაბ ტომარაძე, გოგი ქათამაძე, დუდუ დადიანი) და–

ნაკრების თამაშების ფინანსურ მხარეზე კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **გოგი ქათამაძემ** *ისაუბრა:*

— როგორც მოგეხსენებათ, დღესდღეობით დალხინებულ მდგომარეობაში არც ერთი სფერო არ არის. ამ მხრივ გამონაკლისი არც სპორტია. წლეულს სპორტის დეპარტამენტს მიზერული თანხები გამოუყვეს და ის, რომ ჭიდაობაში, რაგბიში და სხვა სახეობებში გარკვეული წარმატებებია, ნამდვილად საოცრებაა. ჩვენც გვაქვს პრობლემები ფინანსური თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არ არის გამონახული ის თანხები, რომლითაც მეტოქე გუნდებს მივიღებთ, უზრუნველვყოფთ მათ დაბინავებას, კვებას და სხვა სახის მომსახურეობას. ასევე საჭიროა ორი მსაჯის მიღება და მათთვის გასამრჯელოს გადახდა. თუმც საგანგაში არაფერია, ფინანსთა სამინისტროდან სახსრებს მალე მივიღებთ და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. ძნელია სპორტის სათამაშო სახეობებში რომელიმეს პრიორიტეტი მიანიჭო, თუმცა ვფიქრობ, კალათბურთს საქართველოში საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს და მის მიმართ დაინტერესება არ უნდა განელდეს. პირიქით, უნდა გამოინახოს დამატებითი სახსრები, რათა ის მომავალი თაობა, რომელიც საქართველოს ეზრდება, არ დაიკარგოს და ნამდვილ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. საქართველოს წარსულში არაერთი უდიდესი მოთამაშე ახსოვს, მაგრამ დღეს უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს, იმდენი, რამდენიც არასდროს.

ნუკრი ვარდანიძის ფოტო

–მოთამაშეები (დავით ბერძენიშვილი, ვლადიმერ ბოისა, ნიკა ცქიტიშვილი, დავით უგრეხელიძე)

შემდეგ ნაკრების ლეგიონერებმა ისაუბრეს თავიანთი სათამაშო ფორმის შესახებ. ისინი მომავალ თამაშს იმედიანად ხვდებიან.

ბოლო სიტყვა ზურაბ ტომარაძისა იყო:

— ბევრჯერ დავმარცხდით, გარკვეულწილად წაგებულის ფსიქოლოგია ჩამოგვიყალიბდა, მაგრამ ეს უკვე წარსულია და ბიჭებმა დაივიწყეს. ნაკრებში მშვენიერი განწყობაა. საბრძოლველად ყველა მზადაა. რაც შეეხება საბოლოო შემადგენლობას, მას ხვალ დავასახელებ, როცა ზაზა ფაჩულია და რევაზ ჩხეიძე შემოგვიერთდებიან.

ირაკლი ბერტაია

ეს რა ელირსა ნოვიცკის?!



დირკ ნოვიცკი

31 მაისს 124-მა ამერიკელმა და კანადელმა კალათბურთზე მწერალმა ჟურნალისტმა წლეულს საბოლოოდ აიღო ხელში კალამი და შესაბამის ანკეტაში შეიტანა მისი აზრით ამპლუების მიხედვით საუკეთესო მოთამაშეთა გვარები. მიხვდებით, საუბარია ნბა-ს სეზონის სიმბოლურ ხუთეულებზე, რომლებიც დაასახელა ჩვენი ოკეანგაღმელი კოლეგების ელიტარულმა ფენამ. ჟურნალისტები ვალდებულნი იყვნენ, აერჩიათ სამი ხუთეული, თითოეულში კი ორი უკანახაზელი, ორი ფორვარდი და ერთი ცენტრი. პირველი ხუთეულის წევრს ხუთი ქულა ერიცხება, მეორე და მესამე ხუთეულელებს კი შესაბამისად სამი და ერთი ქულა.

ისე როგორ იქნებოდა, პირველ-გუნდში არ აერჩიათ სეზონის უძვირფასესი მოთამაშე ალენ აივერსონი, რომელმაც 120 პირველი ხმა მიიღო და 620 შესაძლებლობიდან 612 ქულა დააგროვა. იგი ხუთწლიან კარიერაში მეორედ მოხვდა პირველ ხუთეულში. სეზონის უძვირფასეს მოთამაშეს ხუთეულის უკანა ხაზში მხარს დაუმშვენებს „ფინიქსის“ გამთამაშებელი ჯეისონ კიდი, რომელმაც სულ ცოტათი აჯობა „ლეიკერსის“ კობი ბრაიანტს. კობისთვის ელიტარულ გუნდში არც ამჯერად მოიძებნა ადგილი. მის გოლიათ თანაგუნდელ შაკილ ონილს კი ულაპარაკოდ ერგო ცენტრის პოზიციაზე პირველობა. თავის ცხრაწლიან კარიერაში შაკი მესამედ აირჩიეს პირველ გუნდში, ანუ მესამედ დასახელდა ლიგის საუკეთესო ცენტრად. ფორვარდთათვის განკუთვნილი ორი ადგილი სანანტონიელმა ტიმ დანკანმა და საკრამენტოელმა კრის ვებერმა ირგუნეს. აივერსონისა და ონილის მსგავსად, ტიმ დანკანს ფაქტობრივად კონკურენტი არ ჰყოლია, მან 115 პირველი ხმა და 608 ქულა მიიღო. აღსანიშნავია, რომ დანკანს ნბა-ში ოთხი სეზონი გაუტარებია და ოთხჯერვე მოხვდა პირველ ხუთეულში. ამ მხრივ ტიმს ნბა-ს ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება.

„ფილადელფია სიქსერზის“ კონგოელ ცენტრ დიკემბე მუტომბოს მისალოცად აქვს საქმე. გამოკითხვაში აფრიკელმა ჩამოიტოვა „სან ანტონიოს“ ბებერი ცენტრი დევიდ რობინსონი და პირველად შევიდა მეორე ხუთეულში, არადა, ბედის ირონიით, მას რამდენიმე სეზონი ბევრად უკეთ ჩაუტარებია, ვიდრე წლევანდელი და უკეთეს შემთხვევაში მესამე გუნდში თუ რგებია ადგილი. ეს ერთ რამეზე მიუთითებს — ძველი სუპერცენტრები, რობინსონი, ოლაჯუონი და იუინგი, ბერდებიან, ამ ბოლო წლებში კი ისეთი არავინ გამოჩენილა, მათი ნახევარი ღირდეს.

ხუთეულებში კიდევ ერთმა უცხოტომელმა (არაამერიკელმა) დაიმკვიდრა ადგილი. „დალასის“ გერმანელმა თავდამსხმელმა დირკ ნოვიცკიმ გაუსწრო რაშიდ ვოლესს, ანტონიო მაკდაიესსა და მესამე ხუთეულში მოხვდა. ხორვატი დრაჟენ პეტროვიჩისა და თანამემამულე დეტლეფ შრემპფის შემდეგ ნოვიცკი მესამე ევროპელია, რომელსაც ამგვარი პატივი ხვდა წილად.

ირაკლი ფირაჯვილი

პირველი ხუთეული

ჯეისონ კიდი	ფინიქსი
ალენ აივერსონი	ფილადელფია
კრის ვებერი	საკრამენტო
ტიმ დანკანი	სან ანტონიო
შაკილ ონილი	ლეიკერსი

მეორე ხუთეული

კობი ბრაიანტი	ლეიკერსი
ტრეისი მაკგრეიდი	ორლანდო
ვინს კარტერი	ტორონტო
კევინ გარნეტი	მინესოტა
დიკემბე მუტომბო	ფილადელფია

მესამე ხუთეული

გერი პეიტონი	სიეტლი
რეი ალენი	მილუოკი
დირკ ნოვიცკი	დალასი
კარლ მელოუნი	იუტა
დევიდ რობინსონი	სან ანტონიო

ერთი თვის წინ გადადებული დღეს დაიწყება

როგორც იქნა, დაადგა საშველი ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას. დღეს ერთი თვის წინ გადადებული ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური გაიმართება, თუმცა არასრულად. დათვები — ასკ-ს მატჩი სავარაუდოდ ერთი კვირით გადაიდო. ასკ მაშინ ჩაებმება ჩემპიონატში, როდესაც საორგანიზაციო პრობლემებს მოაგვარებს და საქართველოს რაგბის კავშირის დავალიანებას დაფარავს.

საქართველოს 2001 წლის ჩემპიონატი ორ ლიგაში გაიმართება — უმაღლეს და პირველ ლიგებში ექვს-ექვსი გუნდი იასპარეზებს. უმაღლეს ლიგაში შეიკრიბნენ თბილისის „ლოკომოტივი", თბილისის „ყოჩები", თბილისის ასკ, ბათუმის „დათვები", თბილისის „უნივერსიტეტი" და ქუთაისის „აია", ხოლო პირველ ლიგაში — თბილისის „ორბელი-ლელო", თბილისის „ყოჩები 2", თბილისის „აკადემია", თბილისის „დინამო", ბათუმის „დათვები-2" და რუსთავის „რუსთავი".

შარშანდელისგან განსხვავებით, გათამაშება ორ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე ორივე ლიგის გუნდები ორ წრედ, მიმოსვლის პრინციპით ითამაშებენ. უმაღლესი ლიგის საუკეთესო ოთხი გუნდი გათამაშების მეორე ეტაპზე ორწრიან ტურნირში შეებმება ერთმანეთს. ამ ეტაპზე გუნდებს პირველ ეტაპზე დაგროვილი ყველა ქულა გადაყვებათ. ორწრიანი ტურნირის შემდეგ ოთხეულის მონაწილეობით მოეწყობა სამწრიანი პლეი ოფი ბზის თასის მოსაპოვებლად. პლეი ოფის პირველი წრის შესარჩევ ფინალში ერთმანეთს პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები ხვდებიან. აქ გამარჯვებული დიდ ფინალში გადის, ხოლო დამარცხებული — წინასწარ ფინალში. მესამე და მეოთხე ადგილზე გასული გუნდები გასავარჯნ ფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ წყვილში დამარცხებული გათამაშებას ეთიშება და ავტომატურად იკავებს მეოთხე ადგილს, გამარჯვებული კი წინასწარ ფინალში შესარჩევ ფინალში დამარცხებულ გუნდს ეთამაშება. ამთვან საუკეთესო დიდ ფინალში მოხვდება და იქ შესარჩევ ფინალში გამარჯვებულს ბზის თასისთვის შეებრძოლება. წინასწარ ფინალში დამარცხებული კი მესამე ადგილზე გადის.

უმაღლესი ლიგის ორი აუტსაიდერი პირველი ლიგის ორ საუკეთესო გუნდთან ერთად ორ წრედ გათამაშებს საერთო მეხუთე-მერვე ადგილებს. პირველ-მეორე ადგილისნები მომავალ წელს უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ. გუნდები ამ ტურნირს ნული ქულით იწყებენ. ჩემპიონატში ქულათა დარიცხვა შემდეგნაირად მოხდება: მოგება — 2 ქულა, ფრე — 1 ქულა, წაგება — 0 ქულა. იმ გუნდს, ვისაც სხვადასხვა მიზეზის გამო წაგება ჩაეთვლება, სატურნირო ცხრილში ერთი ქულა დააკლდება. გასულ ორ ჩემპიონატზე მოქმედი პრემიალური ქულის წესი გაუქმებულია.

ეს რაც შეეხება ჩემპიონატის გათამაშების სისტემას, ახლა კი უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდებზეც ვთქვათ.

შარშანდელი ჩემპიონი და თასის მფლობელი თბილისის „ლოკომოტივი" წლეულსაც დუბლს დაუმიზნებს

ბადრი ჯიმილაძის ფოტო

ლოკომოტივი

ტრიუმფალური სეზონის შემდეგ თბილისელი რკინიგზელები წლევანდელი გათამაშების უპირველესი ფავორიტები არიან. თემურ ბენდიაშვილის რახმს მხოლოდ ერთი წაძყვანი მორაგბე დააკლდა. მორკინალმა თამაზ ჩადუნელმა საფრანგეთს მიაშურა და იქაურ ლიგაში გააგრძელებს კარიერას, თუმც შევსებაც საკმაოდ სოლიდური მიიღეს რკინიგზელებმა. „ლოკომოტივს" ერთბაშად ექვსი ძლიერი მორაგბე შეემატა და ხუთი მათგანი ასკ-დან გადმობარგდა მოქმედი ჩემპიონის ბანაკში. მორკინალებმა, მიხეილ სუჯაშვილმა, ბესიკ გაფრინდაშვილმა და შალვა ქავთარაძემ, არმიულ კლუბს უგანეს და თავიანთი ბედი „ლოკომოტივს" დაუკავშირეს. მათ გზას დაადგნენ ბორჯღალოსნები — ირაკლი აბუსერიძე და ვასილ აბაშიძე. „ყოჩებიდან" შეემატა „ლოკომოტივს" გიორგი ხაბეიშვილი. ამათ ძირძველი რკინიგზელები — გიორგი ბუგიანიშვილი, კახა ალანია, ნონო ანდღულაძე, ბობა კვინიხიძე, ბესიკ უდესიანი, კაკო მაჭუტაძე, ზურა მოგელაძე და გიორგი კახიანიც დაუმატეთ და ჩემპიონატის მოგების ფორმულა საძებარი აღარ იქნება. ნურც ჭაბუკი და ახალგაზრდული ნაკრებების წევრებს დავივიწყებთ. დავით ხინწაგაშვილი, ლექსო გუგავა და გიორგი გიორგაძე, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, სერიოზულ ძალას წარმოადგენენ და არც გამოუცდელობას უჩივიან. ერთი სიტყვით, „ლოკომოტივი" წლეულსაც ფავორიტია და ვინძლო ბზის თასმა და საქართველოს თასმა ისევ რკინიგზაში დაიდოს ბინა.

ყოჩები

თუ ვინმეს შესწევს ძალა, მრისხანე „ლოკომოტივი" შეაჩეროს, ეს, უპირველეს ყოვლისა, თბილისის „ყოჩებია". ვიცე-ჩემპიონს არც წლეულს განელებია ოქროს ძადა. გუნდის ხელმძღვანელობამ ძირითადი ხერხემლის შენარჩუნება შეძლო, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი დანაკლისი მაინც განიცადეს „ყოჩებმა". საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მორაგბე და გუნდის ლიდერი კახა კობახიძე ვერაფრით დაეხმარება თავისიანებს. კახას რაგბიდან წასვლა გადაუწყვეტია და მთლიანად პროფესიულ საქმიანობაზე გადაერთვება. არადა, მასზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. კობახიძის დარად, ვერ შავლეგ ჯანელიძის გვარს ამოიკითხავთ „ყოჩების" საჩემპიონატო განაცხადში, რადგან წამსვლელებზე ვსაუბრობთ, აქვე „ყოჩთა" მე-9 ნომერ გოგა ხელაძეზეც ვთქვათ. პერსპექტიული ნახევარმცველი ირაკლი გიორხელიძის ჩრდილში მოექცა და შარშანდელი პირველობის უმეტესი ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. გამოცდილ გიორხელიძესთან კონკურენციას ხელაძემ ბათუმში გადაბარგება ამჯობინა.

და რაც მთავარია, „ყოჩებს" ამიერიდან ამირან თეზელაშვილი გაწვრთნის. აწ უკვე კლუბის მწვრთნელყოფილმა მალხაზ ჭეიშვილმა ჭაბუკ და ბავშვთა გუნდებთან მუშაობა არჩია და თავისი პოსტი დიდსულოვნად გადაულოცა მემკვიდრეს.

დათვები

აშკარად ჩაგდებული შარშანდელი სეზონის შემდეგ ბათუმის კლუბის თავკაცობამ ძირეული ცვლილებები განახორციელა და კლუბი გამოცდილ თბილისელ სპეციალისტს, ლევან მგელაძეს ჩაბარა. ახალმა მწვრთნელმა, თავის მხრივ, შემადგენლობის გადახალისებას მიჰყო ხელი. ძველი გვარდიიდან ზღვისპირელებს ოდენ ოთხი მორაგბე შემორჩათ. ბოლო წლებში ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელი კახა მაჩიტიძე, გარემარბი გოჩა ხონელიძე, მორკინალები — ზაზა ჩირგაძე და გიგა გურეშიძე ისევ „დათვების" ღირსებას დაიცავენ. მგელაძემ ყოფილი კლუბიდან, ასკ-დან ბათუმში ორი მორაგბე იახლა: კახა უჩავა, რომელსაც კარში დარტყმა ფრიად ეხერხება და მცველი დათო კიკნაძე. ცოტა ხანში კი მათ ყოფილი ყოჩელი გიგა ხელაძეც შეუერთდა. „დათვების" მიზანი მინიმუმ ოთხეულში მოხვედრა და თასის მოპოვება იქნება. როგორ გაართმევენ თავს დასახულ ამოცანას ბათუმელები, დრო გვიჩვენებს. ისე კი, ლევან მგელაძეს სადაც უმუშავია, ყველგან ბრძოლისუნარიანი და ძლიერი გუნდი შეუქმნია.

უნივერსიტეტი

ოთხეულისკენ უჭირავთ თვალი თბილისელ სტუდენტებსაც. მოვიდა დრო, როდესაც „უნივერსიტეტმა" თავისი სიტყვა უნდა თქვას და საშუალო გუნდიდან ლიდერად გარდაიქმნას. საამისოდ ყველანაირი წინაპირობა აქვთ გურამ მოდებაძის შეგირდებს. ახალგაზრდა მორაგბეები დაღვინდნენ, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოწრთობილმა სტუდენტებმა გამოცდილებაც შეიძინეს და ერთმანეთთანაც შეთამაშებულნი არიან. სტუდენტთა მნიშვნელოვანი შენაძენი, რა თქმა უნდა, ეროვნული ნაკრების გარემარბი მალხაზ ურჯუკაშვილია, თუმცა იგი მხოლოდ ორი თვით შეეშველება „უნივერსიტეტს": აგვისტოში მახოს ფრანგული „ბეზიე" ელის.

აია

ერთწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ქართულ ელიტას ქუთაისის „აია". გაჭირვებასა და კლუბისადმი გულგრილობას რა ვუთხრა, თორემ ქუთაურებს არაფერი სჭირდათ საიმისო, რომ პირველ ლიგაში გავარდნილიყვნენ. არც ახლა ულხინს „აიას". არც ახლა გრძნობენ ქალაქის ხელმძღვანელობისგან მხარდაჭერას, მაგრამ რაგბიზე უსაზღვროდ შეყვარებული ხალხი თავის შესაძლებლობებზე მეტს აკეთებს და აკი აქამდე მოატანა „აიამ". ეს სწორედ მთავარი მწვრთნელის, დიმიტრი ფულარიასა და მისი მეგობრების დამსახურებაა.

ქუთაისში ნიჭიერ და პერსპექტიულ მორაგბეებს რა გამოლევს. დღევანდელი „აიაც" სწორედ ჭაბუკი მორაგბეებით არის დაკომპლექტებული. ნორჩებს გამოცდილი გიორგი ჩუბინიძე, ზვიად გოგისვანიძე და კობა გიორგაძეც შეაშველებენ ხელს და ეგებ ოთხეულში „აიას" გამოჩენა არც არავის გაუკვირდეს. მშობლიურ კლუბში თამაშის სურვილი ბათუმიდან წამოსულმა ნუგზარ ძაგნიძემაც გამოთქვა, თუმც უფროსი „ბეყე" ქუთათურთა ბანაკში ჯერ არ გამოჩენილა.

ასკ

თუ ვინმეს უჭირს დღეს ყველაზე მეტად, ეს არმიული კლუბია. როგორია, გუნდიდან ერთბაშად ძირითადის რვა მორაგბე გაუშვა, სანაცვლოდ კი ერთიც ვერ მიიღო. ამას ფინანსური გაჭირვებაც დაუმატეთ და ასკ-ის დღევანდელ ყოფას მტერსაც არ უსურვებს კაცი. არმიული კლუბის ხელმძღვანელობას პირველობაზე სამონაწილეო თანხა ჯერაც არ შეუტანია რაგბის კავშირის ოფისში. ფულს ვინ დარდობს, განაცხადი რაა, ისიც არ მიუღიათ ჩემპიონატის ორგანიზატორებს. თუ საორგანიზაციო საკითხები დროულად გადაჭრეს ასკ-ის თავკაცებმა, მაშინ გუნდის დაკომპლექტება 1983-84 წლებში დაბადებული მორაგბეებით მოუწევთ გოჩა აბაშიძესა და ავთანდილ ღიბრაძეს.

გაჩო სვანიძე

საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის კალენდარი

I ეტაპი

I ტური

2 ივნისი, შაბათი

ყოჩები — აია

დათვები — ასკ გადაიდო

3 ივნისი, კვირა

ლოკომოტივი — უნივერსიტეტი

II ტური

7 ივნისი, ხუთშაბათი

ასკ — აია

დათვები — ლოკომოტივი

ყოჩები — უნივერსიტეტი

III ტური

12 ივნისი, სამშაბათი

ლოკომოტივი — აია

ასკ — ყოჩები

უნივერსიტეტი — დათვები

IV ტური

17 ივნისი, კვირა

ასკ — ლოკომოტივი

დათვები — ყოჩები

უნივერსიტეტი — აია

V ტური

22 ივნისი, პარასკევი

დათვები — აია

უნივერსიტეტი — ასკ

ლოკომოტივი — ყოჩები

VI ტური

30 ივნისი, შაბათი

აია — ყოჩები

ასკ — დათვები

უნივერსიტეტი — ლოკომოტივი

VII ტური

5 ივლისი, ოთხშაბათი

აია — ასკ

ლოკომოტივი — დათვები

უნივერსიტეტი — ყოჩები

VIII ტური

10 ივლისი, სამშაბათი

აია — ლოკომოტივი

ასკ — ყოჩები

დათვები — უნივერსიტეტი

IX ტური

15 ივლისი, კვირა

აია — უნივერსიტეტი

ლოკომოტივი — ასკ

ყოჩები — დათვები

X ტური

20 ივლისი, პარასკევი

აია — დათვები

ასკ — უნივერსიტეტი

ყოჩები — ლოკომოტივი

II ეტაპი

I ტური გაიმართება
2 სექტემბერს, კვირას
II ტური გაიმართება
9 სექტემბერს, კვირას
III ტური გაიმართება
23 სექტემბერს, კვირას
IV ტური გაიმართება
30 სექტემბერს, კვირას
V ტური გაიმართება
21 ოქტომბერს, კვირას
VI ტური გაიმართება
28 ოქტომბერს, კვირას
პლეი ოფი დაიწყება
3 ნოემბრიდან, შაბათს
პლეი ოფის წინასწარი ფინალი
გაიმართება 13 ნოემბერს, სამშაბათს
ჩემპიონატის ფინალი გაიმართება
24 ნოემბერს, შაბათს

მსოფლიოს ჩემპიონატი ბელფასტი

მსაჯებს ჯაშუში კამერები უთვალთვალებენ

სვალიდან ჩრდილოეთ ირლანდიაში კრიკეტის XI მსოფლიოს ჩემპიონატი გახურდება. ბუნებრივია, ამა თუ იმ ორთაბრძოლის სამართლიანად წარმართვა მსაჯებზეა დამოკიდებული, მაგრამ, მთავარი ის არის, თუ რამდენად სამართლიანები იქნებიან ეს უკანასკნელნი. თუმცა, გამოსავალი უკვე მოძებნეს.

მაშინ, როდესაც მსაჯთა ყურადღება რინგისკენ იქნება გადატანილი, არც ისინი იქნებიან უყურადღებოდ.

ბელფასტის „ოდისეი არენაზე", რომელიც 3-10 ივნისს მსოფლიოს 60 ქვეყნის 400 სპორტსმენს უმასპინძლებს, მსაჯთა ყოველ მოქმედებას სამეთვალყურეო კამერები გააკონტროლებენ.

სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატზე ურთიერთდაზვერვის პრაქტიკას პირველად იყენებენ. მანამდე ასეთი რამ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გაუკეთებიათ. მასპინძლები ფიქრობენ, რომ კამერებით მსაჯთა მოქმედებების მონიტორზე დაფიქსირებით ისინი შეძლებენ დაინახონ ის, თუ რამდენად სწორად შეარჩია ამა თუ იმ მსაჯმა ის ღილაკი, რომელიც სპორტსმენს ჟულებს უწერს ანუ რამდენად სწორედ მიყავთ ანგარიში.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სამოყვარულო კრიკეტში წლების განმავლობაში მიკერძოებული მსაჯობა იყო გამეფებული. ამის დასტურად ჰიუსტონის მსოფლიოს ჩემპიონატიც კმარა. ორი წლის წინათ, როდესაც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატს ჰიუსტონმა უმასპინძლა, მოხდა ისე, რომ კუბის ნაკრებმა მთლიანად მოხსნა თავისი გუნდი ასპარეზობიდან. გუდა-ნაბადი აიკრა სახელგანთქმულმა მძიმეწონოსანმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფელიქს სავონმა. ამის მიზეზი მსოფლიოს ჩემპიონატის არაობიექტური მსაჯობა გახლდათ. ამიტომაცაა, რომ ორგანიზატორებს მსაჯთა კონტროლზე აყვანა სურთ.

„ჯაშუშმა კამერამ, რომელიც სიდნეის ოლიმპიადაზე გამოიყენეს, დავალებას დიდი წარმატებით გაართვა თავი. ამ კამერით შეგვიძლია გამოვავლინოთ მიკერძოების ყველაზე უმნიშვნელო ფაქტიც. ეს ის მომენტია, როდესაც კომპიუტერის ქულების დამრიცხავ ციფერბლატზე მსაჯი წითელ ან ლურჯ ღილაკს აჭერს თითს მაშინ, როდესაც სხვა მსაჯები ამას არ აკეთებენ — აცხადებს შეჯიბრების დირექტორი, ირლანდიის ყოფილი ჩემპიონი მსუბუქ წონაში პეტ მაკრორი და იქვე დასძენს — ყველანი, ვისაც მიკერძოებაში ვამხელთ, ისევე როგორც ეს სიდნეიში იყო, გუდა-ნაბადს აიკრავენ და შინისკენ გაუტევენ. ერთ მსაჯს სიდნეიში ოთხწლიანი დისკვალიფიკაციაც კი მიესაჯა. მოგვებეზრდა ასპარეზობებისას მიღებული გადაწვეტილებით ატეხილი დავა და ჯაჯღანი".

ასეა თუ ისე, იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერად აღარ განმეორდება ის, რაც ჰიუსტონში მოხდა.

სხვათა შორის, საქართველოს ნაკრები, რომელიც თურქეთში გადიოდა შეკრებას, ვარჯიშებს კუბელებთან ერთად ატარებდა. როგორც საქართველოს კრიკეტის ფედერაციაში გვითხრეს, შესაძლოა საქართველოსა და კუბის ნაკრებები ერთად გაფრინდებიან ბელფასტშიო, თუმცა, ახლა უკვე იქაც იქნებიან.

აღსანიშნავია, რომ სავიზო პრობლემების გამო მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ იასპარეზებენ ისრაელისა და ნიგერიის ნაკრებები.

გიგა გურასაშვილი

სარბიელი
სპორტული ლატარია
კროკო

იტალია. სერია B. 37-ე ტური

3 ივნისი

18.00	001	კალიარი-ტერნანა	2,1	2,5	3,4
18.00	002	კიევო-სალერნიტანა	1,5	3,0	5,0
18.00	003	ჩიტადელა-სიენა	1,9	2,7	4,4
18.00	004	კროტონე-პესკარა	1,5	3,0	5,0
18.00	005	ემპოლი-ანკონა	1,6	3,0	5,6
18.00	006	პისტოიეზე-პიაჩენცა	2,5	2,3	2,5
18.00	007	რავენა-ვენეცია	3,4	2,9	1,9
18.00	008	სამპდორია-მონცა	1,2	5,0	9,0
18.00	009	ტორინო-კოზენცა	1,5	3,1	6,0
18.00	010	ტრევიზო-ჯენოა	2,0	2,8	3,0

იტალია. სერია C1. პლეი-ოფი. II მატჩები

3 ივნისი

19.30	011	კომო-სპეცია	1,65	2,9	6,0
19.30	012	ლივორნო-არეცო	1,75	2,8	5,0
19.30	013	მესინა-ასკოლი	1,6	2,8	6,5
19.30	014	კატანია-აველინო	1,85	2,7	4,7

იტალია. სერია C1. პლეი-აუტი. II მატჩები

3 ივნისი

19.30	015	კარარეზე-ბრეშელო	2,0	2,5	4,2
19.30	016	ლოდიჯანი-ატლეტიკო	1,8	2,9	3,6
19.30	017	ნოჩერინა-ვიტერბეზე	1,65	2,8	5,0
21.00	018	ალძანო-რეჯანა	2,1	2,4	4,0

ესპანეთი. II დივიზიონი. მე-40 ტური

2 ივნისი

21.30	019	ლევანტე-ბეტისი	3,5	2,8	1,95

3 ივნისი

14.30	020	ხეტაფე-ფეროლი	1,95	2,9	3,4
15.00	021	ლეგანესი-კორდობა	1,8	2,7	4,0
21.00	022	სპორტინგი-ბადახოსი	1,75	2,6	5,0
22.00	023	მურსია-ეიბარი	1,85	2,9	3,8
22.00	024	ლეიდა-უნივერსიდადი	2,1	2,9	3,2
22.00	025	ალბასეტე-ატლეტიკო	2,5	3,0	2,5
22.00	026	სალამანკა-ესტრემადურა	1,75	2,9	4,7
22.00	027	უელვა-კომპოსტელა	1,7	3,0	3,0
22.00	028	ხაენი-ელჩე	1,85	3,0	2,8
23.00	029	სევილია-ტენერიფე	2,0	3,0	3,1

ჰოლანდია. პლეი-ოფი. A ჯგუფი. 1-ლი ტური

3 ივნისი

17.30	030	ტელსტარი-ვოლენდამი	2,2	3,0	3,1
17.30	031	ზვოლე-სიტარდი/გრააფსხაპი	1,0	1,0	1,0

ჰოლანდია. პლეი-ოფი. B ჯგუფი. მე-2 ტური

2 ივნისი

22.30	032	იგლსი-ექსელსიორი	2,3	3,2	2,7

3 ივნისი

17.30	033	კამბური-სპარტა	2,4	3,1	2,6

პოლონეთი. გადადებული მატჩი

2 ივნისი

22.00	034	გურნიკი-ამიცა	1,5	3,0	3,8

პოლონეთი. ლიგის თასის ფინალი. II მატჩი

3 ივნისი

19.30	035	ვისლა-ზაგლებე	1,45	3,6	5,6

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

2 ივნისი

19.00	501	ირლანდია-პორტუგალია	2,5	2,9	2,6
19.00	502	ჩრდილოეთ ირლანდია-ბულგარეთი	3,4	2,9	2,1
19.00	503	უელსი-პოლონეთი	3,5	3,0	2,0
20.00	504	რუსეთი-იუგოსლავია	1,9	3,0	3,8
20.00	505	სომხეთი-ბელარუსი	2,8	3,1	2,3
21.00	506	საქართველო-იტალია	ანგარიში –		5,0
21.00	507	ისლანდია-მალტა	1,1	7,0	14,0
	508	ისლანდია-მალტა 0:2	1,5	4,0	3,0
21.00	509	შვედეთი-სლოვაკეთი	1,55	3,3	6,0
21.00	510	უკრაინა-ნორვეგია	1,8	3,1	4,0
22.00	511	ფინეთი-გერმანია	5,0	3,2	1,65
22.00	512	ესტონეთი-ჰოლანდია	12,0	6,0	1,15
22.00	513	ლიხტენშტაინი-ისრაელი	14,0	7,0	1,1
22.15	514	დანია-ჩეხეთი	2,3	2,9	3,0
22.30	515	თურქეთი-აზერბაიჯანი	1,03	8,0	16,0
22.30	516	რუმინეთი-უნგრეთი	1,55	3,3	6,0
23.00	517	საბერძნეთი-ალბანეთი	1,3	4,0	7,5
	518	საბერძნეთი-ალბანეთი 0:1	1,8	3,4	2,6
23.00	519	მაკედონია-მოლდოვა	1,45	3,6	6,5
23.00	520	ბელგია-ლატვია	1,1	7,0	14,0
	521	ბელგია-ლატვია 0:2	1,55	3,8	2,9
23.15	522	ფარერები-შვეიცარია	7,5	4,0	1,35
23.15	523	სლოვენია-ლუქსემბურგი	1,03	8,0	16,0
	524	სლოვენია-ლუქსენბურგი 0:3	1,7	4,0	2,3
23.15	525	ხორვატია-სან მარინო	1,01	10,0	20,0
	526	ხორვატია-სან მარინო 0:3	1,5	4,4	2,8
00..30	527	ესპანეთი-ბოსნია	1,1	7,0	14,0
	528	ესპანეთი-ბოსნია 0:3	1,7	4,0	2,3
02.00	529	პერუ-ეკვადორი	2,2	3,1	3,0
04.00	530	პარაგვაი-ჩილე	1,5	3,4	6,5

3 ივნისი

23.00	531	არგენტინა-კოლუმბია	1,45	3,5	6,0
01.00	532	ბოლივია-ვენესუელა	1,2	5,0	9,0

კონფედერაციათა თასი

2 ივნისი

13.00	535	კანადა-ბრაზილია	10,0	5,6	1,15
15.30	536	კამერუნი-იაპონია	2,6	3,1	2,4

3 ივნისი

15.30	537	საფრანგეთი-მექსიკა	1,0	1,0	1,0
15.30	538	კორეა-ავსტრალია	1,0	1,0	1,0

4 ივნისი

15.30	539	ბრაზილია-იაპონია	1,0	1,0	1,0
15.30	540	კამერუნი-კანადა	1,0	1,0	1,0

კალათბურთი. 1/2 ფინალი

3 ივნისი

22.00	802	ფილადელფია-მილუოკი	1,0	1,0	1,0

ჰოკეი. ფინალი

2 ივნისი

05.00	901	ნიუ ჯერსი-კოლორადო	2,0	3,6	2,4

4 ივნისი

05.00	902	კოლორადო-ნიუ ჯერსი	1,0	1,0	1,0

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

ქობულეთში — აღმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ᲯᲘᲠᲝ ᲓᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲤᲐᲣᲡᲢᲝ ᲙᲝᲞᲘᲡ ᲛᲗᲐᲖᲔ

REUTERS ᲞᲝᲠᲢᲠᲝᲚᲘᲓᲐᲜ

ᲯᲘᲚᲑᲔᲠᲢᲝ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲓᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐ ᲨᲐᲛᲞᲐᲜᲣᲠᲘᲗ ᲓᲐᲐᲡᲚᲔᲚᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲛᲐ ᲯᲘᲚᲑᲔᲠᲢᲝ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲛ ᲓᲝᲚᲝᲛᲘᲢᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲨᲘ �გᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ „ᲯᲘᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲛᲔᲪᲐᲛᲢᲔ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐ ᲛᲝᲘᲠᲯᲝᲕᲐ. ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝ ᲒᲐᲠᲫᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲙᲝ ᲞᲐᲜᲢᲐᲜᲘ ᲙᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲣᲙᲐᲛ ᲛᲝᲕᲔᲥᲪᲜᲔᲜ.

ᲖᲦᲕᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲓᲐᲜ 2239 ᲛᲔᲢᲠ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲐ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲑᲝᲑᲦᲓᲐ. ᲒᲐᲠᲓᲔᲚᲘᲛ ᲑᲠᲝᲜᲥᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲗᲝᲗᲮᲔᲓᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲓᲐᲗᲛᲝ, „ᲛᲔᲪᲐᲛᲑᲠᲘ“ ᲙᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲔᲥᲡᲘ ᲬᲣᲗᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲐ.

ᲤᲘᲜᲘᲨᲗᲖᲔ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲛ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲔᲚᲘ ᲮᲣᲚᲘᲝ ᲞᲔᲠᲔᲡ ᲙᲣᲐᲞᲘᲝᲡ (23 ᲬᲔᲚᲘ) ᲣᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲗᲛᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲖᲔ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲓᲠᲝ ᲛᲝᲣᲒᲝ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲤᲔᲠᲝᲑᲐᲪ ᲒᲐᲘᲜᲐᲦᲓᲐ. ᲢᲠᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲛᲐ ᲛᲗᲘᲔᲚᲛᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲥᲜᲐ, ᲐᲘᲠᲣᲚᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ „ᲯᲘᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲢᲝᲠᲓᲐ. ᲐᲛ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ ᲘᲒᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲡᲣᲚᲐ ᲞᲝᲓᲘᲣᲛᲖᲔ (1999 ᲓᲐ 2000 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲔ ᲘᲧᲝ), ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲐᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲔᲛᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲔᲡ ᲓᲐᲠᲘᲝ ᲤᲠᲘᲒᲝᲡᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲒᲐᲕᲔᲨᲑᲘᲗ ᲘᲪᲐᲕᲓᲐ ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲤᲔᲠ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲣᲬᲘᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ.

ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲪᲘᲪᲐᲑᲝ ᲐᲦᲛᲐᲠᲗ ᲞᲐᲡᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲘᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲠᲓᲛᲝᲚᲐᲓᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲘᲗᲐᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, ᲤᲠᲘᲒᲝᲛ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲐᲬᲚᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲔᲢ ᲓᲠᲝᲔᲑᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲪᲘᲪᲐᲑᲝ ᲐᲦᲛᲐᲠᲗ ᲞᲐᲡᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲘᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲠᲓᲛᲝᲚᲐᲓᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲘᲗᲐᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, ᲤᲠᲘᲒᲝᲛ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲐᲬᲚᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲔᲢ ᲓᲠᲝᲔᲑᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ. ᲨᲔᲒᲠᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲖᲔ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲓᲠᲝ ᲛᲝᲣᲒᲝ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲤᲔᲠᲝᲑᲐᲪ ᲒᲐᲘᲜᲐᲦᲓᲐ. ᲢᲠᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲛᲐ ᲛᲗᲘᲔᲚᲛᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲥᲜᲐ, ᲐᲘᲠᲣᲚᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ „ᲯᲘᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲢᲝᲠᲓᲐ. ᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲣᲬᲘᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲖᲔ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲜᲔᲑᲘᲜ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲠᲝᲕᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘ ᲡᲠᲘᲜᲗᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲬᲐᲔᲒᲝ.

ᲬᲘᲜ ᲙᲘ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ „ᲯᲘᲠᲝᲡ“ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲐ ᲙᲣᲐᲞᲘᲝ ᲔᲑᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲠᲐᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲣᲘᲚᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲐᲠᲗᲕᲐ. ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲕᲔᲚᲝᲛ ᲣᲛᲢᲧᲣᲜᲐ, ᲛᲔᲠᲕᲔᲖᲔ ᲙᲘ ᲛᲐᲜ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲘ ᲓᲐᲗᲛᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ.

ᲘᲜᲓᲘᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲛᲠᲑᲝᲚᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, „ᲯᲘᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲣᲒᲝᲐ. ᲘᲒᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ (2 600 ᲛᲔᲢᲠᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲓᲐᲜ) ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲦᲐᲠᲘᲑ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲑᲐᲡ ᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲓᲐ.

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲮᲣᲚᲘᲝᲡ ᲕᲔᲚᲝᲗᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲛᲐ ᲛᲘᲒᲔᲚ ᲐᲠᲝᲘᲝᲛ ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲐᲓ ᲒᲐᲮᲓᲝᲛᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲐᲓ ᲒᲐᲮᲓᲝᲛᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ. ᲓᲦᲔᲡ 163-ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲢᲐ�პᲘᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲙᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠ ᲠᲒᲝᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲣᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲓᲐ ᲤᲠᲘᲒᲝᲪ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ.

ᲑᲐᲑᲘ ᲑᲣᲠᲣᲚᲘ

ᲛᲔᲪᲐᲛᲢᲔ ᲔᲢᲐ�პᲘ

ᲛᲝᲜᲢᲔᲑᲔᲚᲣᲜᲐ — ᲞᲝᲠᲢᲝ, 225 ᲙᲛ

1. ᲮᲣᲚᲘᲝ ᲞᲔᲠᲔᲡ ᲙᲣᲐᲞᲘᲝ (ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ, ᲞᲐᲜᲐᲠᲘᲐ) 7ᲡᲗ 24ᲬᲗ 48ᲬᲗ
2. ᲯᲘᲚᲑᲔᲠᲢᲝ ᲡᲘᲛᲝᲜᲘ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ, ᲚᲐᲛᲞᲠᲔ) ᲘᲒᲘᲕᲔ ᲓᲠᲝ
3. ᲓᲐᲠᲘᲝ ᲤᲠᲘᲒᲝ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ, ᲤᲐᲡᲐ ᲑᲝᲠᲢᲝᲚᲝ) +45ᲬᲗ
4. ᲔᲠᲜᲐᲜ ᲑᲣᲔᲜᲐᲠᲝᲐ (ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ, ᲡᲔᲚᲔ) +48
5. ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲔᲠᲐᲡ ᲙᲐᲜᲘᲝ (ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ, ᲡᲔᲚᲔ) +49

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. ᲯᲘᲚᲑᲔᲠᲢᲝ ᲡᲘᲛᲝᲜᲘ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ, ᲚᲐᲛᲞᲠᲔ) 63ᲡᲗ 23ᲬᲗ 15ᲬᲗ
2. ᲓᲐᲠᲘᲝ ᲤᲠᲘᲒᲝ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ, ᲤᲐᲡᲐ ᲑᲝᲠᲢᲝᲚᲝ) +48
3. ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲑᲔᲚᲘ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ, ᲤᲐᲡᲐ ᲑᲝᲠᲢᲝᲚᲝ) +1ᲬᲗ 27
4. ᲣᲜᲐᲘ ᲝᲡᲐ (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ, ᲘᲑᲐᲜᲔᲡᲢᲝ) +1ᲬᲗ 52
5. ᲘᲕᲐᲜ ᲒᲝᲢᲘ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ, ᲐᲚᲔᲡᲘᲝ) +2ᲬᲗ 14

REUTERS ᲞᲝᲠᲢᲠᲝᲚᲘᲓᲐᲜ

ᲓᲝᲚᲝᲛᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲗᲝᲕᲚᲘᲚᲘ ᲛᲗᲔᲑᲘᲪ ᲚᲐᲛᲐᲖᲘᲐ ᲓᲐ „ᲯᲘᲠᲝᲡᲖᲔ“ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲡ ᲤᲝᲢᲝᲪ

ᲙᲘᲙᲑᲝᲥᲡᲘᲜᲒᲘ

ᲜᲐᲔᲕᲠᲝᲞᲐᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲔᲚᲘᲗ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲘᲐᲜ. ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲚᲕᲘᲕᲨᲘ ᲙᲘᲙᲑᲝᲥᲡᲘᲜᲒᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲥ ᲛᲝᲩᲮᲣᲑᲐᲠᲛᲐ ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲛᲐ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ — ᲝᲠᲛᲐ ᲝᲥᲠᲝᲡᲘ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲐ. ᲔᲡᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔ ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲔᲚᲘ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲦᲚᲝᲜᲢᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲠᲔᲕᲐᲖ ᲥᲔᲚᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘ ᲠᲝᲜᲘ ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲗᲐᲗ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ. ᲙᲘᲙᲑᲝᲥᲡᲘᲜᲒᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲝᲡᲝ ᲓᲝᲚᲝᲛᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘ — ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲓᲜᲔᲚ. ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲣᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲗ: 360 ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲒᲐᲛᲘᲠᲩᲜᲔᲜ, ᲦᲚᲝᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲥᲔᲚᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ, ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲕᲘᲪᲔ-ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲘ.

ᲬᲘᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲛᲑᲘᲐ. ᲓᲜᲔᲞᲠᲝ�პᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲔᲑᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲕᲔᲜᲐᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲝᲡ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲩᲮᲣᲑᲘ ᲐᲥᲐᲪ ᲡᲣᲠᲗ ᲓᲐ ᲘᲥᲐᲪ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲗᲣᲠᲛᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲐ, ᲙᲘᲙᲑᲝᲥᲡᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ �გᲝᲒᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐᲜᲘ, ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ �გᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲜᲔᲢᲙᲐᲩᲔᲕᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ. ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲛᲔᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡᲝ, ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲡᲝᲡᲝ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.

ᲒᲐᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲓᲐᲓᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲘᲮᲘᲖᲜᲔᲑᲐ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲦᲣᲮᲭᲘᲠᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲑᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲠᲐᲔᲠᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲣᲢᲝᲕᲔᲑᲘᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲐᲡᲙᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲮᲓᲐ. ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲤᲐᲠᲔᲑᲘᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲮᲓᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚ ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲗᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲮᲓᲐ. ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲗᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲚᲝᲠᲗᲐᲛᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ.

ᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡᲐᲓ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲢᲘᲞᲘᲜᲓᲘᲡ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲚᲝᲠᲗᲐᲛᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ.

ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲗᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲚᲝᲠᲗᲐᲛᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲚᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲘᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲓ ᲝᲠᲒᲖᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲗᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲩᲘᲔᲡ. ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘ ᲘᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲩᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲗᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲤᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲣᲪᲚᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲜᲩᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲝᲒᲚᲘᲫᲔᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲓᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲣᲛᲐᲡᲠᲘᲜᲓᲚᲝᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲛᲘᲡ ᲓᲐ

ოცი ათასზე ძვირფასი დედა

REUTERS ოსტრავიდან

იან ჟელეზნიმ ტურნირი მოიგო, მაგრამ სეზონის რეკორდი ვერ დაამყარა

ოსტრავას ტურნირის 40-წლიან ისტორიას ამდენი ცნობილი მძლეოსანი და მაყურებელი არ ახსოვს. ორ ათეულ ათასამდე ჩეხმა მოიყარა თავი პოლონეთთან საზღვრისპირა მოზრდილ ქალაქში, ვიტკოვიცეს სტადიონზე, სადაც იან ჟელეზნი შუბს ტყორცნიდა, რომან სერბლემ 110 მეტრი თარჯებზე ხტუნვით ირბინა, დონოვან ბეილიმ 100 მეტრი მოიგო და წესით, თვით მაიკლ ჯონსონიც უნდა გამოჩენილიყო, შემთხვევა რომ არა...

მაიკლ ჯონსონს პროექტი აქვს. სანამ კეთილი ნების თამაშებზე საბოლოოდ დაასრულებდეს ნაყოფიერ კარიერას (14 ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონატების მედალი მოპოვება), პლანეტის სხვადასხვა კუთხეებს მოივლის და მხოლოდ ესტაფეტებს ირბენს. ჯონსონმა ჩეხეთიდან დაიწყო. რამდენიმე დღის წინ ოსტრავას ჩასულმა ბუზებივით დაიხვია ჟურნალისტები და განმარტა, რომ მისი გადაწყვეტილება წლეულს წასვლის შესახებ ურყევი და საბოლოოა. ჯონსონმა ოსტრავაში თავისი ოქროსქაცვებიანი ბუცებიც წარადგინა (ამავე სახელის სერიაში მოგებული), რომელსაც ქაცვების დაძრობასა და აუქციონზე გამოტანას უპირებს. მოკლედ, ვიზიტი ჩეხეთში მრავალმხრივი იყო, მაგრამ კულმინაციას ვერ უწია. სწორედ გუშინწინ ამცნეს მორბენალს, დედაშენს გულმა შეუტია და არიქა, ჩაუსწარიო. ჯონსონიც პრაღა — ლოს ანჟელესის პირველივე რეისს შეახტა და ამერიკას გაფრინდა. მოასწრო მხოლოდ მოკლე ბოდიშის დატოვება: „საშინლად ვნაობ, გულით მსურდა ოსტრავაში სირბილი, მაგრამ ქომაგები გამიგებენ: მე ახლა დედაჩემის გვერდით უნდა ვიყო“. 4X400 მეტრიანი ესტაფეტა დაობლდა, მაგრამ ამერიკის ნაკრების შედეგზე ამას არ უმოქმედია. იანკებმა ჯონსონის ნაცვლად დენ მაკრეი დაყენეს და ჩეხეთის ნაკრებს უპრობლემოდ გაუსწრეს.

ჯონსონის არყოფნით დაღონებული და გაბრაზებული საზოგადოება იან ჟელეზნიმ გამოაცოცხლა. ჩეხი მეშუბის პროგრამა-მაქსიმუმი ოსტრავაში პირველი ადგილი კი არა (ვინ შეეცილებოდა?), სეზონის რეკორდის დამხობა იყო, რომელიც ბერძენმა კოსტანტინოს გაციუდისმა ერთი კვირის წინ დაამყარა და 91,27 მეტრს უდრის. ჟელეზნიმ გუშინწინ ბევრი იაქტიურა, მაგრამ 90 მეტრს შუბი ვერაფრით უწია. მისი საუკეთესო მაჩვენებელი 89,45 იყო, რასაც პირველ ცდაზე ფრიად მიუახლოვდა ბრიტანელი სტივ ბაკლი (87,84), მაგრამ მისი შემდგომი სროლები არაფრად ვარგოდა და ჟელეზნი პირველ ადგილზე გავიდა.

ჩეხთა მეორე, ახალი კერპი, რომან სერბლე, ათჭიდის მსოფლიო რეკორდის დამხობით გაამყარებული ჩავიდა სამშობლოში და 110 მეტრზე თარჯრბენი უხეიროდ ირბინა, მხოლოდ მეხუთე იყო. ჩაიჭრნენ ჩეხები ქალთა ჭოკით ხტომაშიც, სადაც მსოფლიოს ჩემპიონი მათი პავლა ჰამჩკოვა. გუშინწინ ჰამჩკოვას უკრაინელმა ანჟელა ბალახონოვამ და ავსტრალიელმა ტატიანა გრიგორიევამ აჯობეს.

ხოლო დონოვან ბეილი ცოცხალია. ბოლო წლებში უაღრესად დანავსული კანადელი აცხადებს, რბენას საცაა შეეშვებიო, ოსტრავაში კი 100 მეტრი თუმც არცთუ სიმპათიური 10,34-ით, მაგრამ მოიგო!..

დავით გულუა

იმერლები ვენაში

გუშინ ავსტრიის დედაქალაქ ვენაში დაიწყო ბალახის ჰოკეიში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება C დივიზიონის გუნდებს შორის. ვენაში რვა სახელმწიფოს წარმომადგენლები შეიკრიბნენ და მათ შორის ქართული კლუბი, ქუთაისის „იმერეთი“. გუნდები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ქუთაისელებს მეტოქეებად უკრაინის „კოლოსი“, იუგოსლავიის „ზორკა“ და ფინეთის „ტიმი“ შეხვდნენ. ჯგუფებში გამარჯვებულები ოქროს მედლებს და B დივიზიონის საგზურს გაითამაშებენ, ხოლო ბოლოადგილოსანთა მატჩში დამარცხებული C დივიზიონს დაეთხოვება.

ჩვენი დელეგაციის წევრთაგან შევიტყვეთ, რომ „იმერეთის“ ამოცანა შედარებით მოკრძალებულია — გუნდს C დივიზიონში ადგილის შენარჩუნება დააკმაყოფილებს. გადამაშება 4 ივნისს [illegible], „იმერეთი“ კი ვენიდან 6 ივნისს გამომგზავრება.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

ასტანის სუპერტურნირი

კასპაროვისთვის წართმეული ქულა

დარმენ სადვაკასოვმა ასტანის სუპერტურნირზე მთავარი საქმე ფრიადზე გააკეთა, ორჯერ შეხვდა გარი კასპაროვს და ორჯერვე ნახევარი ქულა წაართვა. რაც შეეხება უზენაეს მიზანს, ანუ ბოლო ადგილზე არგასვლას, აქ უკვე ვერაფერი მოხერხდება: ბოლო ტურის წინ სადვაკასოვი ქულანახევრიან დეფიციტს ვერა ფოკუსით ვერ მოსპობს.

მეცხრე ტურშიც სამივე პარტია ყაიმით დასრულდა — დაიღალნენ მოჭადრაკეები და შემოქმედებითი წვის თეორიით ჩანაცვლებას მიჰყვეს ხელი. სამ საათზე დიდხანს მხოლოდ სადვაკასოვმა და კასპაროვმა ითამაშეს. ექსჩემპიონი შავებით იყო, მაგრამ ცხადია, მთელი ქულისთვის იბრძოდა. ამ მიზნით მან თავსატეხებით სავსე სიცილიური დაცვა აირჩია და პარტია ამოდ სანახავი გამოდგა. სადვაკასოვმა ეტლებით ღია C ვერტიკალი დაიპყრო, ხოლო კასპაროვმა მეფის ფრთაზე განაწყო თავისი ფიგურები. მან თავდასხმაში მხედარი მხედარს შეუწყვილა, საყრდენებად პაიკები გამწესა და ლიბეროდ — ლაზიერი, რომელიც უშუალოდ კეტავდა შავი მეფისკენ მიმავალ გზას. რიგი ტაქტიკური წიაღსვლების შემდეგ კასპაროვმა პაიკი მოიგო და თითქმის მაშინვე შეცდომა დაუშვა, რის შემდეგაც რანგით ბევრად დაბალ მეტოქეს თავად შესთავაზა ყაიმი, რითაც დარბაზმა გაიხარა. სადვაკასოვს სამი სვლისთვის წუთი ჰქონდა დარჩენილი, საიდანაც 40 წამი იმაზე ფიქრში გაატარა, მიეღო თუ არა წინადადება. ხომ სასწაული იქნებოდა, უარი რომ ეთქვა? მაგრამ ყაზახი ლოგიკურად მოიქცა, დასტური თქვა და ფრიად კმაყოფილი გაემართა ანალიზის ოთახისკენ, სადაც კასპაროვმა ასე, ისე და კიდევ ხუთნაირად აუხსნა, რომ პარტია შავებს უნდა მოეგოთ. საერთოდ, კასპაროვი ანალიზის მხეცია და ამ საქმეში თვით კრამნიკი ვერ სჯობნის, მსოფლიოს ჩემპიონი, რომელმაც გუშინწინ თეთრებით ალექსანდრ მოროზევიჩს ვერ მოუგო. მეორე წრეში რიგიანად მოთამაშე მოროზევიჩმა ლაზიერის გამბიტში თავი გონივრულად დაიცვა. დაფაზე არსებული გარემო მისთვის ნაცნობი იყო (ვიიკ აან ზეეში უთამაშია), ამიტომ ჩქარა თამაშობდა და 23-ე სვლისთვის, როცა ყაიმი გაფორმდა, საათი და 15 წუთი ჰქონდა მარაგში, ხოლო კრამნიკს — ნახევარ საათზე ცოტა მეტი.

ბორის გელფანდმა და ალექსეი შიროვმა პარტია ჩქარა და უხმაუროდ დამთავრეს. ბოლო ტურში კასპაროვი და კრამნიკი თამაშობენ. თეთრებით კასპაროვი იქნება.

დავით გულუა

ვითარება 9 ტურის შემდეგ

1. კრამნიკი 6,5; 2. კასპაროვი 6; 3. გელფანდი 5; 4. მოროზევიჩი 4; 5. შიროვი 3,5; 6. სადვაკასოვი 2



დარმენ სადვაკასოვის საამო პარტია: ყაიმი გარი კასპაროვთან

NHL. სტენლის თასი. ფინალი (ოთხ მოგებამდე)

ბურკი უხუცესი მეგოლეა



REUTERS ... ...

რეი ბურკი გოლით ხარობს

31 მაისი

კოლორადო	**2**
ნიუ ჯერსი	**1**

ნიუ ჯერსი 1:3 კოლორადო (1:1 0:0 0:2)

1:0 არნოტი 4(8), 1:1 სკოულა 11(1), 1:2 ბურკი 41(4), 1:3 ჰაინოტი 47(2)

ნიუ ჯერსი: ბროდო; სტივენსი, რაფალსკი, სიკორა, არნოტი, ელიაში; ნიდერმაიერი, დანეიკო, ნემჩინოვი, ჰოლიკი, კორკამი; ოდონელი, უაიტი, მოგილნი, გომესი, ბრილინი; პანდოლფო, მედენი, სტივენსონი

კოლორადო: რუა; ბლეიკი, სკოულა, ჰეიდუკი, საკიკი, ტანგეი; ბურკი, ფუტი, ჰოდინი, იელი, მესიეჯ; კლემი, დევრიზი, ნიემინენი, დრური, ჰაინოტი; დინგმანი, რაინპრეხტი, რიდი

„არა მგონია, ოდესმე ამაზე მნიშვნელოვანი გოლი გამეტანოს. ამიტომ ახლა თავს ისე ვგრძნობ, თითქოს 25 წლის ვიყო“ — თქვა მატჩის შემდეგ სახელოვანმა რეი ბურკმა. სწორედ მან გაიტანა 41-ე წუთზე გადამწყვეტი გოლი და მიუხლოვდა იმ დიად მიზანს, რომლისთვისაც 22 წელი იღვწოდა. დიახ, გუშინ კოლორადომ მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა და ბურკს, ისევე როგორც მთელ გუნდს, მხოლოდ ორი ნაბიჯი აშორებს სტენლის თასისგან.

გოლი კი მართლაც ლამაზი გამოვიდა. რიცხვმრავლობაში ჯო საკიკმა შაიბის ჩაგდება მოიგო, პარტნიორს უკან მიაწოდა. ბურკმაც უძლიერესად დაარტყა, მრავალნაცად ვეტერანს ხომ სიზუსტეში დღესაც ვერავინ გაეჯიბრება. შემთხვევით კი არ იგებს იგი „ოლ სტარის“ ყოველწლიურ კონკურს დარტყმებში.

არადა, როცა თასის ფინალისტთა ვინაობა გაირკვა, დაცვაზე ყურადღება არავის გაუმახვილებია, სპეციალისტთა უმეტესობა ნიუ ჯერსის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობად უფრო ძლიერ თავდამსხმას ასახელებდა. იმასაც იხსენებდნენ, რომ 1996 წლის მერე კოლორადომ თავისი საუკეთესო ფორვარდები გაყიდა, რათა დაცვა გაეძლიერებინა. არც მოტყუებულა — მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით, განსაკუთრებით პეტერ ფორსბერგის არყოფნაში, გუნდის შეტევა ნაკლებად მრისხანედ გამოიყურება, „ეველანში“ სერიაში წინაა და ეს სწორედ ბურკისა და ბლეიკის დიდი დამსახურებაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტუმრებს თამაში მცველებმა მოაგებინეს. მათ არა მარტო ორი გოლი მიითვალეს, არამედ თავიანთი პირადი მოვალეობებიც ჩინებულად შეასრულეს და „ეშმაკთა“ დიდებული თავდამსხმელები პრაქტიკულად ხელცარიელები დატოვეს.

თუმცა ეს ყველაფერი მერე გამოჩნდა, თავიდან კი ნიუ ჯერსი უკეთ გამოიყურებოდა. უკვე მეორე წუთზე ადამ ფუტმა მასპინძელთა შეტევა წესის დარღვევით შეაჩერა და „ეშმაკებმა“ ჩინებულად გამოიყენეს რიცხვმრავლობა. როგორც იქნა, მათმა პირველმა სამეულმა ფინალში პირადი ანგარიში გახსნა — პარტნიორების გათამაშებული კომბინაციის შემდეგ შაიბა ჯეისონ არნოტს მიუვიდა, რომლის საშუალო მანძილიდან დარტყმულიც აუღებელი აღმოჩნდა. მეშვიდე წუთზე ნიუ ჯერსიმ ისევ რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვა და ახლაც ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ პატრიკ რუამ ჯერ არნოტის, მერე კი სიკორას დარტყმა ჩინებულად მოიგერია. ამის შემდეგ წინა მატჩის სცენარი განმეორდა. გუნდი, რომელიც პირველ წუთებზე მეტოქეს აშკარად სჯობდა, მოღუნდა, ხოლო მოწინააღმდეგე, პირიქით, თანდათან ათამაშდა. ოღონდ ამჯერად როლები შეიცვალა. იქნებ იმ ფაქტმაც იქონია გავლენა, რომ სტუმრებმა პირველივე სერიოზული შეტევა გოლად აქციეს. სტეფან იელის სამეულმა სწრაფი იერიში განახორციელა. ცენტრფორვარდის დარტყმული მარტინ ბროდომ დიდი გაჭირვებით მოიგერია, მაგრამ კოლორადომ გააგრძელა შეტევა და შონ პოდინის მიერ კარს უკანიდან მოწოდებული შაიბა მცველმა მარტინ სკოულამ ოსტატურად გაგზავნა ცხრიანში. ამ გოლმა გუნდს თვითრწმენა დაუბრუნა და მართალია, მეტოქეს ტერიტორიული უპირატესობა დაუთო, მაგრამ, სამაგიეროდ, თავის ზონაში ისე მარჯვედ მოქმედებდა, რომ ნიუ ჯერსის ფორვადებს მხოლოდ შორიდან ეძლეოდათ შეტევის განხორციელების საშუალება. ამიტომ მასპინძელთა იერიშებს სიმწვავე მოაკლდა. მხოლოდ არნოტის სამეული თუ უქმნიდა სტუმრებს საფრთხეს, ისიც ეპიზოდურად. ერთხელ პატრიკ ელიაში აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ, თუმც შანსი ვერ გამოიყენა. მეორეჯერ კი რუა შეცდა, რომელსაც იმავე ელიაშმა დაასწრო, მაგრამ შაიბა ძელს გაარტყა. ნიუჯერსელთა თავკაცმა ლარი რობინსონმა რამდენიმე გადაადგილებით სცადა შეგირდების გამოცოცხლება, ერთი ხანობა უხეიროდ მოთამაშე სკოტ გომესიც კი დასვა სათადარიგოთა სკამზე, მაგრამ ამაოდ.

თუმც ეს ყველაფერი უკვე მატჩის მიწურულს მოხდა, მერე პერიოდში კი სტუმართა უპირატესობა აშკარა გახდა. სტივენ რაინპრეხტის მეოთხე სამეულმაც კი მოახერხა ხიფათის შექმნა, მაგრამ კრის დინგმანის პასი კარის სიახლოვეს მყოფი ფუტის მისამართით ბოლო მომენტში ბროდომ ჩაჭრა. რამდენიმე შანსი საკიკსა და მის პარტნიორებსაც ჰქონდათ, ერთხელ ცენტრფორვარდი ორი მეტრიდანაც უტევდა, მაგრამ ააცილა.

ასეთ შემთხვევაში გოლი ხშირად საპირისპირო კარში გადის და ლამის გავიდა კიდეც, როცა ელიაშმა რუა შეცდომისთვის კინაღამ დასაჯა. მაგრამ მესამე პერიოდის პირველივე წამებზე ბურკმა გააკეთა ის, რაც მანამდე მისმა თანაგუნდელებმა ვერ მოახერხეს და როგორც თავიდანვე ვთქვით, ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა. 47-ე წუთზე კი სტუმრებმა საბოლოოდ წაუხდინეს ნირი „ეშმაკებს“. კრის დრურიმ სანიშუშო კონტრშეტევა წამოიწყო, შემდეგ კი ვილე ნიემინენმა ორი მცველი და მეკარე ისე დაბნია, რომ დენ ჰაინოტს ისღა დარჩენოდა, ცარიელ კარში გაეტანა გოლი. მიუხედავად იმისა, რომ მატჩის ბოლომდე საკმაო დრო იყო, ნიუ ჯერსიმ დიდად ვერ დაასაქმა რუა, ვერც ბოლოსწინა წუთზე მეკარის მეექვსე მოთამაშით შეცვლამ მოუტანა გუნდს რაიმე ხეირი.

კოლორადო მეორედ დაწინაურდა სერიაში და გვარიანად დააფიქრა ნიუჯერსელთა თავკაცობა, რომელთათვისაც „ეველანშის“ მცველთა ესოდენ დალაგებული და აუღელვებელი თამაში არასასიამოვნო სიურპრიზი გამოდგა. ბურკი კი ლიგის ისტორიაში შევიდა, როგორც უხუცესი მოთამაშე, ვინც თასის ფინალში გოლი გაიტანა. მანამდე რეკორდი ლეგენდარულ ჟან ბელიეოს ეკუთვნოდა, რომელმაც ეს 39 წლისამ მოახერხა.

საბველ ლარიბიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟენია დიზელზე მუშაობს



REUTERS-ის ფოტო

ევგენი კაფელნიკოვი ფორმაში ჩადგა

ევგენი კაფელნიკოვის საოცრად გადატვირთულ გრაფიკში (ის გამოუდგებით ყველა სხვა ჩოგბურთელზე მეტ ტურნირზე ასპარეზობს) წელიწადში ორი ხანგრძლივი შვებულებაა: ერთი სხვების მსგავსად — დეკემბერში, მეორე, ყველასგან განსხვავებული და კარგად შენიღბული — თიხნარის სეზონის დასაწყისში.

ფორმალურად სოჭელი ჟენია აპრილმისში ყველა სათიხნარო ტურნირზე თამაშობს, მაგრამ ზოგჯერ უნებლიედ, ზოგჯერ კი განზრახ ყოველთვის პირველ წრეებში აგებს. წლეულს ერთადერთი გამონაკლისი ამ წესიდან რომში დაფიქსირდა, მაგრამ ეს 27 წლის ოლიმპიური ჩემპიონის ბრალი არ ყოფილა — რუმინელმა ანდრეი პაველმა ტრავმის გამო თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო და რუსი, სამწუხაროდ თუ გასახარად, მეორე წრეში აღმოჩნდა.

სპორტული აფერისტობისთვის ჟენიას სინდისი არ ქენჯნის, უბრალოდ, ის როლან გაროსისთვის ინახავს ძალებს და ფიზიკურად ყველაზე დამღლელ საფარზე ოფლისღვრას ერიდება. სამაგიეროდ, რომში მორიგი წაგების შემდეგ ნერვებმა მის დიდი ხნის მწვრთნელ ლარი სტეფანკის უმტყუნა. გამწარებული და მოთმინებიდან გამოსული ამერიკელი თავისი შეგირდის სასტუმროს ნომერში შევიდა, ამის გაძლება აღარ შემიძლიაო, წყნარად განუცხადა და ჩემოდნების ჩალაგებას შეუდგა. კაფელნიკოვის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, სტეფანკიმ გადაწყვეტილება აღარ შეცვალა და იმავე დღეს შინ გაემგზავრა.

მარტოდ დარჩენილი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ჯერჯერობით ბედს არ ეძღურის. გასულ კვირაში ATP-ის მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე მან ხეირიანად გაივარჯიშა, ჩვეული ფორმა იოლად აღიდგინა და ახლა თავისი პირველი ტრიუმფის ქალაქში ისევ ჩემპიონობას უმიზნებს.

„მე დიზელზე მომუშავე ძველი მანქანასავით ვარ, ცოტა ნელა ვიქოქები, მაგრამ როცა ძრავი ამუშავდება, ძნელად თუ გამაჩერებ. კარგად ვიცი საკუთარი შესაძლებლობები, ყველაფერი თავდაჯერებაზეა დამოკიდებული. სინამდვილეში ნებისმიერ საფარზე საუკეთესოთა ათეულში შევდივარ და დიდი იმედი მაქვს, აქ ამჯერადაც ისეთივე წარმატებას მივაღწევ, როგორც რამდენიმე წლის წინ“ — განაცხადა მორიგი გამარჯვების შემდეგ 1996-ის ჩემპიონმა რუსმა.

მესამე წრეში კაფელნიკოვის მეტოქე ATP ტურის ყველაზე დაბალი ჩოგბურთელი, შარშანდელი სეზონის საუკეთესო ახალბედა ოლივიე როშუ იყო. 20 წლის ბელგიელი სიმაღლით სულ 167 სანტიმეტრია, მაგრამ დარტყმების ძალით თავისზე ერთიორად ჯანიან მოთამაშეებსაც არ ჩამოუვარდება.

სოჭელ ჟენიას თავიდან საკმაოდ გაუჭირდა სწრაფი ბელგიელის დაჯაბნა, მაგრამ პირველი ხელის ტაი-ბრეიკზე მოგების შემდეგ შვებით ამოისუნთქა და უფრო ლაღად ათამაშდა. საფირმო, ხაზს გაყოლებული ტყვიასავით ბექჰენდების და აგრესიული მიღებების წყალობით კაფელნიკოვმა მეორე სეტში ოთხჯერ აართვა მოწოდება მეტოქეს (თუმცა თავადაც სამჯერ დათმო) და უპირატესობა ბოლომდე შინარჩუნა 7:6 (7:1), 6:4, 6:3.

„ჯერ მხოლოდ მერვედფინალში გავედი, სამი მძიმე მატჩი მოვიგე და ტურნირი სინამდვილეში სწორედ აქედან იწყება. სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, სულ უფრო უკეთ ვთამაშობ, მაგრამ ახლა მეტოქეებიც უფრო სერიოზული მეყოლება“ — დაუმატა რუსმა, რომელმაც როლან გაროსზე პირველ წრეში თავისი პროფესიონალური კარიერის მე-500 გამარჯვება იზეიმა.

ისევ ვერ გააღწია მერვედფინალში ინგლისელმა ტიმ ჰენმანმა. მან პარიზში მესამე წრეში ხუთსეტიანი მარათონი უკვე ზედიზედ მესამედ დათმო.

„ამ ეტაპზე ისევ გადამწყვეტ ხელში წაგება საოცრად იმედგამაცრუებელია. ვერც კი ამიხსნია, რას შეიძლება დავაბრალო ეს წარუმატებლობა, ფიზიკურად კარგად ვარ მომზადებული და ცდაც არ დამიკლია“ — აღნიშნა მეთერთმეტედ განთესილმა ჰენმანმა, რომელიც, კაფელნიკოვის არ იყოს, ცოტა ხნის წინ დაშორდა დიდი ხნის მწვრთნელ დევიდ ფელგეიტს.

ამჯერად ჰენმანის ოცნებებს ლაგამი შავტუხა არგენტინელმა გილერმო კანასმა ამოსდო. 23 წლის ბუენოსაირესელი ვერც მძლავრი მოწოდებით დაიკვეხნის და ვერც ბადესთან დიდი ოსტატობით, სამაგიეროდ, სამსაათნახევრის მანძილზე ენაგადმოგდებული ქარივით დაქროდა კორტის ერთი კიდიდან მეორეში, აუღებელ დარტყმებს უკან აბრუნებდა და მეტოქეს აიძულებდა შეცდომები დაეშვა 4:6, 6:4, 6:4, 3:6, 7:5.

ახლა ჰენმანს წინ მშობლიური უიმბლდონი ელის, სადაც მთელი ინგლისის იმედები მხრებით უნდა ზიდოს: „კარიერაში ყველაზე დიდ წარმატებას ბალახზე მივაღწიე, ასე რომ, მოუთმენლად ველი მისი სეზონის დაწყებას. თიხნარზე ამდენი ოფლის ღვრაც უახლოეს ხანებში აუცილებლად გამომადგება. ბოლო 10 დღეში იმდენი ვივარჯიშე და ვითამაშე, ყველა ასპექტში მოვუმატე“.

ტრავმების გამო რამდენიმე ბობოლას არყოფნამ და პირველ წრეში ამელი მორესმოსა და ვინუს უილიამსის მარცხმა შედეგად ის მოიტანა, რომ ქალთა ბადის მეორე ნახევარში საუკეთესოთა ათეულის ერთი წარმომადგენელიც კი აღარ არის შემორჩენილი. შესაბამისად ფინალში გასვლის შანსი ბევრ ისეთ მოთამაშეს გაუჩნდა, რომლებსაც ასეთი წარმატებისთვის არასოდეს მიუღწევიათ.

კლასიფიკაციის ყველაზე მაღალი ადგილის პატრონი შეთხელებულ ბადეში 17 წლის ბელგიელი კიმ კლაისტერსია. მეთორმეტედ განთესილმა თინეიჯერმა შარშან როლან გაროსზე პირველივე წრეში წააგო, მაგრამ თავისთვის ყველაზე მოუხერხებელ საფარს ამჯერად გაცილებით უკეთ შეეწყო და ჯერჯერობით ტურნირზე ერთი ხელიც არ წაუგია: „ჩემი ამოცანა-მინიმუმი შარშანდელზე უკეთ ასპარეზობა იყო და ეს შევძელი კიდეც. ამ ერთი წლის მანძილზე ბევრი რამ მოხდა, ბევრიც ვისწავლე, მაგრამ მე იგივე კიმი ვარ, მნიშვნელობა არა აქვს, განუთესელი ვიქნები თუ მსოფლიოს პირველი ჩოგანი“.

მესამე წრეში კლაისტერსის მსხვერპლი 18 წლის ესპანელი მართა მარერო გახდა. მარერომ შარშან როლან გაროსზე მეოთხედფინალში გააღწია, მაგრამ ბელგიელის მოწოდებისა და მკვლელი ფორჰენდების წინააღმდეგ სრულებით უმწეოდ გამოიყურებოდა — 2:6, 2:6.

„არა მგონია, ჩემი მეტოქეების ეშინოდეთ, უბრალოდ, უკვე ბევრი მიცნობს და მეტ ყურადღებას მაქცევს. ფინალზე ფიქრი ჯერ ძალიან ადრეა, წინ მძიმე მატჩები მელის“ — განაცხადა ბელგიელმა.

წინ წაიწია კლაისტერსის თანამემამულე ჟიუსტინ ენენმაც. თავისი მე-19 დაბადების დღე ქერა ბელგიელმა მასპინძელი ვირჟინი რაზანოს 6:3, 6:4 დამარცხებით აღნიშნა. ენენი ბევრ შეცდომას უშვებდა და ხშირად უჩვეულოდ პასიურობდა, თუმცა როლან გაროსის შარშანდელი იუნიორების ჩემპიონის დასამარცხებლად ესეც საკმარისი გამოდგა.

ავთანდილ სვანიძე

მესამე წრე

ვაჟები: ხუან კარლოს ფერერო (4, ესპანეთი) — ხაკობო დიასი (ესპანეთი) 6:1, 6:7 (2:7), 6:1, 6:2; ტომი რობრედო (ესპანეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:2, 6:2, 6:2; მაიკლ რასელი (აშშ) — ქსავიე მალისი (ბელგია) 3:6, 6:4, 6:1, 1:6, 6:4; მუსტაფო კუერტენი (1, ბრაზილია) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:3, 6:7 (3:7), 7:6 (7:5), 6:2; ტომას ენკვისტი (14, შვედეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:2, 6:3, 6:7 (5:7), 2:6, 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია) — ენდი როდიკი (აშშ) 6:7 (6:8), 6:4, 2:2 — ტრავმა.

ქალები: ბარბარა შეტი (ავსტრია) — ნურია ლაგოსტერა (ესპანეთი) 6:0, 4:6, 6:2; პენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 7:5, 4:6, 6:3; სილვია ფარინა (იტალია) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 7:5, 7:6 (7:4); რიტა გრანდე (იტალია) — კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი) 6:3, 6:1.

ტაი-ბრეიკი

ქურდების შიშით

50-იანი წლების ჩოგბურთის ვარსკვლავი მერვინ როუზი დევისის თასის მოგებისთვის მიღებული მთავარი ჯილდოს გაყიდვას აპირებს. ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის ცნობით, მიზეზი მეტად ბანალურია — როუზს ეშინია, რომ კოფს ჰარბორში მდებარე სახლიდან თასს მოპარავენ.

71 წლის როუზმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი მწვანეკონტინენტელთა შემადგენლობაში 1952 წელს მოიგო. გარდა ამისა, მას ერთეულებში ავსტრალიის ღია პირველობასა და როლან გაროსზე უმარჯვნია, წყვილებში გამარჯვებების ჩათვლით კი 7 დიდი სლემის ტურნირის ტიტული მოუპოვებია. ამ ჯილდოებს ოზი, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არ შეელევა.

„რამდენჯერმე გამქურდეს. იმას ვუფრთხი, რომ ერთ დღეს ისევ შემოძვრება სახლში ვინმე და თასს ან წაიღებს, ან დაამტვრევს. ადრე მას ბანკში, სეიფში ვინახავდი, მაგრამ ხომ არ შეიძლება, მთელი ცხოვრება იქ იდოს“ — განუცხადა ჟურნალისტებს როუზმა, რომელიც ჩოგბურთის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს ინტერნეტში მოწყობილი აუქციონის საშუალებით გაყიდის.

ბეკერი გავეტერანდა

უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი ბორის ბეკერი სპორტიდან წასვლის შემდეგ ამტკიცებდა, ჩოგანს აღარ გავეკარები და აღარც ვეტერანთა ტურნირებზე ვიასპარეზებო. როგორც იტყვიან, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს — დიდი გერმანელი აგვისტოში ავსტრიულ გრაცში წარსულის სხვა ჩემპიონებს გაეჯიბრება.

„ჩოგბურთი ისევ ისე მიყვარს, როგორც ადრე — ნათქვამია წერილში, რომელიც 33 წლის სუპერვარსკვლავმა ტურნირის დირექტორ ტომას შტრაკას მისწერა — გრაცი ჩემი მეორე საჩოგბურთო ცხოვრების დასაწყისი იქნება“.

ბეკერის გარდა ავსტრიაში წარსულის სხვა არანაკლებ სახელგანთქმული მოთამაშეები — ბიორნ ბორგი, მათს ვილანდერი და იანიკ ნოაც ითამაშებენ. ტურნირი 11-19 აგვისტოს ჩატარდება.

1999 წლიდან მოყოლებული, რაც პენსიაზე გავიდა, „ბუმ-ბუმ“ ბორისს პირად ცხოვრებაში საქმეები საშინლად აეწეწა — დეკემბერში მეუღლე ბარბარას გაშორდა, თებერვალში მავან რუს ქალთან ხანმოკლე რომანის ნაყოფის, პატარა ქალიშვილის, ანას მამობა აღიარა. ჩოგბურთშიც ბეკერი მეორედ ალბათ იმიტომ მოდის, რომ ამ უსიამოვნებების დავიწყება სურს.

და თუ ქაღლი?

ოთხშაბათს, ერთეულებში ასპარეზობისთვის ძალები და მტკივანი მუხლი რომ დაეზოგა, სერენა უილიამსმა წყვილებში უფროს დასთან ერთად თამაშზე უარი განაცხადა. როდესაც მეორე დღეს ვინუსმა ჩემოდნები ჩაალაგა და შინ, ფლორიდაში გაემგზავრა, ხმები დაირხა, დებ უილიამსებს შორის შავმა კატამ გაირბინაო.

„რა სისულელეა, ჩვენ არასოდეს ვკამათობთ. ბოლოს მე და ვინუსი მაშინ წავკინკლავდით, ექვსი წლის რომ ვიყავით. მე ჩხუბი კი მიყვარს, მაგრამ მეტი“ — ასეთია ოფიციალური ინფორმაცია — „ეს ბოლოს ... ეს ... ეს ... ე

ბადრი კეთილაძის ფოტო

სტადიონის კედელთან

თბილისი, ეროვნული სტადიონი. მინდორზე საქართველოს ნაკრები ვარჯიშობს. ტრიბუნის კედელთან კი ჩამომჯდარა ჩვენში ცნობილი საფეხბურთო მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე და მოვარჯიშეებს გასცქერის. მწვრთნელისთვის, ცხადია, საინტერესოა ის, რაც მოედანზე ხდება. ფეხბურთის ვარსკვლავების სანახავად კი მოსულან ქართული პოპმუსიკის ვარსკვლაკებიც, კერძოდ კი, ჯგუფ „სეთის“ წევრები. მათს სახეებზე ხალისია, მწვრთნელი კი ჩაფიქრებული.

ახალი ბრძოლა

REUTERS ნიუ იორკიდან

მძიმე წონის კრივის ორი ქამრის ჩემპიონი ჰასიმ რაჰმანი, ერთ დროს ბალტიმორელი რეკეტირი, სახალხოდ აცხადებს, რომ ამა წლის 5 აგვისტოს თავის ტიტულებს ჩინეთის დედაქალაქ პეკინში დაიცავს ნიგერიელი დევიდ აიზონის ხელყოფისაგან. იქვეა რაჰმანის პატრონი, ასევე ყოფილი რეკეტიორი და ერთ დროს მკვლელობისთვის ნასამართლევი, დიდი პრომოუტერი დონ კინგი, რომელიც ცდას არ აკლებს, რომ მძიმე წონის სცენიდან ჩააჩოჩოს ლენოქს ლუისი.

მშვიდად და მოზომილად

AP ელ სეგუნდოდან

„ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ დიდი ფინალისთვის ემზადება კალიფორნიის ქალაქ ელ სეგუნდოში. მეტოქის ვინაობა ჯერაც არ გარკვეულა, რახან „ფილადელფიამ“ და „მილუოკიმ“ მძიმე აღმოსავლური სერია მოუწყვეს ერთმანეთს. ასეა თუ ისე, „ლეიკერსი“ უფრო დასვენებული და გულმშვიდი ელის 6 ივნისს, როცა „სტიპლს სენთერში“ ფინალის პირველი შეხვედრა გაიმართება. მანამდე კი, სცენა ელ სეგუნდოს ქუჩაზე: კოლორიტული ლეიკერსელი რიკ ფოქსი ავტოგრაფს აძლევს კალათბურთზე დიდად შეყვარებულ ელ სეგუნდოელ დედილოს.

გარანტია

კოლუმბიას კარს მოადგა მორიგი „კოპა“, ლათინური ამერიკის ყველაზე დიდი სანაკრებო ტურნირი. რთული კრიმინოგენური ვითარების ქვეყანაში ძალიან ბევრი საფეხბურთო ვარსკვლავი მოიყრის თავს და მათი უსაფრთხოებაც განსაკუთრებული მსჯელობის საგანია. ეროვნული ნაკრების მაისურებით მოსილი კოლუმბიის პრეზიდენტი ანდრეს პასტრანა (შუაში), ბოგოტის მერი ანტანას მოკუსი (მარჯვნივ) და იქაური ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი ალვარო ფინია დახურულ კარს მიღმა სწორედ ამ საჭირბოროტო საკითხზე მსჯელობდნენ, სახალხოდ კი გამოაცხადეს, ყველაფერი წესრიგშიაო.

REUTERS ბოგოტიდან

კოლორადო წინ გაიჭრა

გახურებულა ჰოკეის ლიგის ფინალი, რომელიც ჯერჯერობით ურთულესი სერიული ანგარიშით მიმდინარეობს. „კოლორადო ეველანშმა“ ისტ რეზერფორდში იძალა და 3:1 მოუგო „ნიუ ჯერსი დევილზს“, რითაც სერიაში 2:1-ზე დაწინაურდა. ამ სურათზე კი ტიხარს იქეთ ჩამომსხდარ გულგატეხილ ნიუჯერსელებს ვხედავთ: სერგეი ნემჩინოვს, სკოტ გომესს და სერგეი ბრილინს.



AP ისტ რეზერფორდიდან

კვლავ ვერაფერი



REUTERS პარიზიდან

დედამიწის ზურგზე ყველაფერი მოუგია მართლაც რომ საუკეთესო ჩოგბურთელ პიტ სამპრასს. ერთადერთი როლან გაროსი ადგას ყელზე და ავი ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა. მავანმა ესპანელმა, გალო ბლანკომ 7:6, 6:3, 6:2 მოუგო პიტს და თიხნარიდან დაითხოვა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი პახტანგ გზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge